ХОРХ ბუში (უშუალოს), ედუარდ შევარდნაძე და ჯეიმს ბეიკერი. არქივიდან.

დღეს თბილისში ჩამოდის აშშ ლეგენდარული სახელმწიფო მინისტრი ჯეიმს ბეიკერი. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონო ჯიმ!

ექსკლუზივი

შევარდნაძესთან ურთიერთობას ბეიკერი ექსტრაორდინარულ მეგობრობას უწოდებს

ნიმრის სტუმარია პოლიტოლოგი ნუგზარ პოლოდინაშვილი

— ოჯოზეფის აზრით, ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის საქართველოში ჩამოსვლის მთავარი მიზანია, დაარწმუნოს პრეზიდენტი შევარდნაძე არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებაში. როგორ ფიქრობთ, მართლაც ასეა?

— ნებისმიერი ობიექტური ადამიანისათვის და, მით უფრო, გამოცდილი პოლიტიკოსისათვის ნათელია, რომ შევარდნაძე დღეს ყველაზე მეტადაა დაინტერესებული სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნებით. როგორც უმაღლეს ხელისუფალს, ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა სწორედ მას აკისრია. მეორეც, პრეზიდენტმა ამ არჩევნების შემდეგ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში უნდა მართოს ქვეყანა და დარწმუნებული ვარ, თვითონვე სურს, რომ მთელი ეს დრო შედეგიანად გამოიყენოს. ოპოზიციის ტაქტიკა კი უკვე ნათელყოფს, რომ უმცირეს საბაბსაც არ გაუშვებს ხელიდან, რათა არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადოს და ამ მიზეზით ქვეყანაში უმართავი ვითარება შექმნას.

იხ. მე-3 გვ.

სამიტი

„სუუამი პარტნიორობისთვის კარს ხსნის, გაერთიანება შეეცდება გაეროს გენერალურ ასამბლეაში მეთვალყურის სტატუსი მოიპოვოს“

სუუამის ფარგლებში კონკრეტული მიმართულებებით მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებისათვის მიმართული ოთხი უმნიშვნელოვანესი შეთანხმება, ერთი ურთიერთგაგების მემორანდუმი და ორი ოქმი, სუუამისა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი განცხადება — ასეთია 3-4 ივლისს იალტაში გამართული სუუამის მორიგი სამიტის შედეგების სტატისტიკური მხარე. რაც შეეხება ამ მაღალი დონის შეხვედრაზე განხილული საკითხების შინაარსსა და მნიშვნელობას, ამას მიღებული დოკუმენტების მხოლოდ სახელწოდებებიც აღასტურებს.

იხ. მე-2 გვ.

„დილა ამ გაზეთის გადამლით დაიწყეთ...“ ჯეიმს ბეიკერ

„საქართველოს რესპუბლიკა“ ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

საქართველოს რესპუბლიკა

The Georgian Railway Ltd

სნგსკ — საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №175 (4554) შაბათი, 5 ივლისი, 2003 წელი. ფასი 50 თეთრი.

ურჩი გადამსდელები

ყელზე დადგომა წყალმაც იცის

ამ ბდარ ცდილობს სახელმწიფო ბიუჯეტისათვის კუთვნილი გადასახადების „მოტეხვას“ — ერთი შესანიშნავი სოლიდური კომპანიები, არცთუ დიდი საწარმოები, ინდივიდუალური მეწარმეები, სხვადასხვა სახეობის ენერგოკომპანიები, მსხვილი იმპორტიორები და „ეროვნული“ კონტრაბანდისტები, რომლებიც თავის ბიზნესს დიდი „სახურავის“ გარეშე, მხოლოდ საკუთარი რისკისა და არაკეთილსინდისიერ სამართალდამცველებთან იქვე, ადგილზე გარიგებით ეწევიან. მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ამ არცთუ დიდად სასახელო სიაში მელიორატორების მოხვედრა, ცოტა არ იყოს, გაგვიკვირდა.

2003 წლის მარგში მარნეულის მონალურმა საგადასახადო ინსპექციამ საგანგებო ლეგიონს გადაუგზავნა სამელიორაციო ასოციაცია „ქუთლიარის“ ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემოწმების აქტი და მის საქმიანობასთან დაკავშირებული მასალები.

სამელიორაციო ასოციაცია „ქუთლიარი“ მარნეულის რაიონის სოფელ ქუთლიარში საქმიანობს. მისი ხელმძღვანელია მეხტი გუმბათ-ოღლიყურბანოვი, ხოლო ძირითად საქმიანობას სოფლის საკრებულოს ტერიტორიაზე მოქცეული წყლის მომხმარებლების სარწყავი წყლით უწრუნველყოფა წარმოადგენს. შესამოწმებელ პერიოდში ასოციაციის შემოსავლის წყაროს სწორედ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული მოგება წარმოადგენდა.

იხ. მე-2 გვ.

პრეზიდენტი

„საანგარიშო პერიოდში საქართველო, როგორც მოქმედი თავმჯდომარე, ხელმძღვანელობდა სუუამის წევრ ყველა სახელმწიფოს მხოლოდ და მხოლოდ საერთო ინტერესებით და ყოველ ღონეს ხმარობდა გაერთიანების ავტორიტეტის ამაღლებისათვის“

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა სუუამის სამიტზე
(ქ. იალტა, 2003 წლის 4 ივლისი)



პატივცემულო კოლეგებო, პატივცემულო სამიტის მონაწილენო და სტუმრებო, ქალბატონებო და ბატონებო,

ნება მიბოძეთ, გულწრფელი მადლობა მოვახსენო ჩვენი შეხვედრის მასპინძლებსა და ორგანიზაგორებს, ჩვენს უკრაინელ მეგობრებს.

მინდა აღვნიშნო, რომ თუკი სუუამი ჩამოყალიბდა, როგორც ქმედუნარიანი გაერთიანება, რომელიც ძალას იკრებს, და დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაღლდება მისი ავტორიტეტი და, თვით მნიშვნელოვანწილად მისი გავლენა, ამაში, უწინარეს ყოვლისა, უდიდესი დამსახურება უკრაინის სახელმწიფოს მიუძღვის.

მე არ ვმალავ, რომ უკრაინისადმი, ისევე როგორც ნებისმიერი თქვენგანისადმი, განვიცდი განსაკუთრებულ სიყვარულსა და პატივისცემას. ეტყობა, უკრაინაც გულგრილი როდია საქართველოსადმი, თორემ, ჩვენს შორის არ დაიდებოდა უნიკალური ხელშეკრულება მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ.

იხ. მე-2 გვ.

დამოწმება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 2 ივლისი ქ. თბილისი

ბადრი ალუაიძის დირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაში, სგუდენგთა აღზრდა-განათლებაში შეგანილი პირადი წვლილისათვის, ჯანდაცვის სისტემის რეორგანიზაციის პროცესში აქტიური საქმიანობისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ქუთაისის სახელმწიფო საავადმყოფო — წმინდა დავით ალმაშენებლის სახელობის ქსენონის მმართველი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ლოცენგი ბადრი ალუაიძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

ყერ მიშიკო, ახლა ნინო

ლიდი სიხარულია საამიშვილებისა და დონდოლაძეების ოჯახებში. ორი წლის წინათ მათ ვაჟის — მიშიკოს შეძენა იმეიმეს, წლეულს, 31 მაისს — მშვენიერი გოგონას დაბადება. მშობლებმა — მხატვარმა ხათუნა დონდოლაძემ და ბიზნესმენმა გოგა საამიშვილმა საქართველოში წმინდა ნინოს შემობრძანების აღსანიშნავად, პატარას ნინო დაარქვეს.

მეორე შეილით ხარობს ახალგაზრდა ოჯახი. კვლავაც ულევ ბედნიერებას და სიხარულს ვუსურვებთ მათ. ღირსეული მეილები დაეზარდოთ საქართველოსთვის. „მეორეგზის“ ბებიებს კი, ქალბატონებს ლეილა ჭელიძე-დონდოლაძესა და გიული ღუჟინიშვილს შვილიშვილების სიმრავლეს და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ.

ეკატერინე.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ეროვნული ბანკი

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2003 წლის 4 ივლისისთვის ეროვნული ბანკის ოფიციალური ლარის კურსი ერთეულ ოქროს 1 გრამზე 5.8000 ლარი, ერთ ამერიკულ დოლარზე 2.1375 ლარი, ერთ ევროზე 2.4534 ლარი, ერთ რუსულ რუბლზე 0.0706 ლარი.

ეროვნული ბანკი

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2003 წლის 4 ივლისისთვის ეროვნული ბანკის ოფიციალური ლარის კურსი ერთეულ ოქროს 1 გრამზე 5.8000 ლარი, ერთ ამერიკულ დოლარზე 2.1375 ლარი, ერთ ევროზე 2.4534 ლარი, ერთ რუსულ რუბლზე 0.0706 ლარი.

ინფორმაცია

გეეფეეეა ეუთოს გენერალური მდივანი

6 ივლისს სადამოს საქართველოს ოთხდღიან სამუშაო ვიზიტად ეწვევა ეუთოს გენერალური მდივანი იან კუბიში. იგი შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, საგარეო საქმეთა და განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრს ირაკლი მენაღარიშვილსა და მაჟლაჰ კაკაბაძეს.

საქართველოში იან კუბიშის ვიზიტის დროს განიხილავენ ჩვენს ქვეყანასა და ეუთოს შორის არსებული ურთიერთობისა და თანამშრომლობის გაღრმავებისა და გაფართოების პერსპექტივებს.

იან კუბიში ასევე შეხვდება საქართველოში ეუთოს მუდმივმოქმედი მისიის წარმომადგენლებს, სხვა ოფიციალურ პირებს, გაეცნობა დედოფლისწყაროში ეუთოს საზღვრის მონიტორინგის ოპერაციის მუდმივ ბაზაზე.

9 ივლისს ეუთოს გენერალური მდივანი ცხინვალში გამართავს შეხვედრებს სამხრეთ ოსეთის აღგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ცხინვალის საეკლესიო ოფისის ხელმძღვანელთან განხო განხევთან. იმავე დღეს იან კუბიში ერთობლივი სამშვიდობო ძალების გამგარ პუნქტში იარაღის განადგურების პროცესს დაესწრება.

უკრაინელთა სათვისტომოს პოზიცია

საქართველოში მცხოვრებმა უკრაინელმა მოსახლეობამ ერთსულოვანი მხარდაჭერა გამოუცხადა ბლოკს „ახალი საქართველოსათვის“. თბილისში გამართულ შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველოსა და უკრაინას, მათ ხალხებს მხოლოდ პოლიტიკური თანამშრომლობა კი არა, ურთიერთობის მდიდარი გრძელვადიანი ტრადიციებიც — როგორც ნათესაური, ისე შეგობრული. ალსანიშნავია ისიც, რომ პირველად თბილისში გაიხსნა უკრაინული სკოლა, რომელსაც უკრაინის პირველი პრეზიდენტის სახელი ეწოდა.

სოხუმში ნათესავებს მოინახულებენ

თბილისიდან სოხუმში შერეული ქართულ-აფხაზური ოჯახების წარმომადგენლების ჯგუფი გაეშგზავრა. ისინი ასეთი ოჯახების შეხვედრებში მიიღებენ მონაწილეობას. სოხუმში შეხვედრა უკვე მეორედ ეწყობა. დეკემბერს სამუალება მიეცემათ მოინახულონ თავიანთი ნათესავები და ახლობლები. შეხვედრას აფინანსებს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტი და ადამიანის უფლებების დაცვის ბიურო. შერეული ოჯახების წარმომადგენლები დარწმუნებული არიან, რომ ასეთი კონტაქტები კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას აუცილებლად წაადგება.

ახალწვეულებმა სამხედრო ფიცი დადეს

საქართველოს სასაზღვრო ძალების 150-მა ახალწვეულმა გუშინ საზეიმო ვითარებაში დადო სამხედრო ფიცი. ფიცის დადების საზეიმო ცერემონიალი ოქროყანის სასაზღვრო რაზმის გერიტორიაზე გაიმართა და მას სახელმწიფოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელები დაესწრნენ.

ინფორმაციისა მოზაგონლეს: სანინორმა, ინგორ-პრესა.

ნანა ძაგნიძე მსოფლიო ჩემპიონია

ნანა ბაბუაიანი (ამერიკიდან) დამთავრდა 20 წლის მოზადრაკეთა მსოფლიო პირველობა. ქალთა შორის 11 შესაძლებლობიდან 9,5 ქულით მსოფლიო ჩემპიონობა 16 წლის ქუთაისელმა საერთაშორისო ოსტატმა ნანა ძაგნიძემ მოიპოვა.

იხ. მე-7 გვ.

ბოლო ამბავი

ბოლო ამბავი ბოლოს, ბოლოს, მიიღო 60 ათასი პასპორტი, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს სჭირდებათ საზღვარგარეთ გასამგზავრებლად. როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით თოდუამ თქვა, უახლოეს დღეებში დაიწყება მათი გაცემა.

„ამჟამად ჩვენ პასპორტებს ვაძლევთ მხოლოდ იმათ, ვისაც სასწრაფოდ სჭირდება გამგზავრება ქვეყნიდან“, — თქვა ბატონმა დავითმა. პასპორტების მისაღებად დაახლოებით ერთი თვეა საჭირო, ხოლო მისი დამზადების ოფიციალური ღირებულება შეადგენს 35 ლარს. მაგრამ, 100-200 დოლარით ადამიანმა შეიძლება პასპორტი მიიღოს ურიგოდ და ხანგრძლივი მოლოდინის გარეშე.

საქართველოს მინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით 2005-2006 წლებში საქართველოს პასპორტების ახალანდელი ნიმუშები ახლით შეიცვლება, რომლებსაც ექნებათ დაცვის მაღალტექნოლოგიური სამუალებები.

საქინფორმი.

ოპოზიციის სახელით პოლიტიკური მაჭანკლები მოქმედებენ

იხ. მე-3 გვ.

ბოლო ამბავი

ბოლო ამბავი ბოლოს, ბოლოს, მიიღო 60 ათასი პასპორტი, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს სჭირდებათ საზღვარგარეთ გასამგზავრებლად. როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით თოდუამ თქვა, უახლოეს დღეებში დაიწყება მათი გაცემა.

„ამჟამად ჩვენ პასპორტებს ვაძლევთ მხოლოდ იმათ, ვისაც სასწრაფოდ სჭირდება გამგზავრება ქვეყნიდან“, — თქვა ბატონმა დავითმა. პასპორტების მისაღებად დაახლოებით ერთი თვეა საჭირო, ხოლო მისი დამზადების ოფიციალური ღირებულება შეადგენს 35 ლარს. მაგრამ, 100-200 დოლარით ადამიანმა შეიძლება პასპორტი მიიღოს ურიგოდ და ხანგრძლივი მოლოდინის გარეშე.

საქართველოს მინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით 2005-2006 წლებში საქართველოს პასპორტების ახალანდელი ნიმუშები ახლით შეიცვლება, რომლებსაც ექნებათ დაცვის მაღალტექნოლოგიური სამუალებები.

საქინფორმი.

ახალი საზღვარგარეთული პასპორტები

თბილისმა, ბოლოს და ბოლოს, მიიღო 60 ათასი პასპორტი, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს სჭირდებათ საზღვარგარეთ გასამგზავრებლად. როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით თოდუამ თქვა, უახლოეს დღეებში დაიწყება მათი გაცემა.

„ამჟამად ჩვენ პასპორტებს ვაძლევთ მხოლოდ იმათ, ვისაც სასწრაფოდ სჭირდება გამგზავრება ქვეყნიდან“, — თქვა ბატონმა დავითმა. პასპორტების მისაღებად დაახლოებით ერთი თვეა საჭირო, ხოლო მისი დამზადების ოფიციალური ღირებულება შეადგენს 35 ლარს. მაგრამ, 100-200 დოლარით ადამიანმა შეიძლება პასპორტი მიიღოს ურიგოდ და ხანგრძლივი მოლოდინის გარეშე.

საქართველოს მინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით 2005-2006 წლებში საქართველოს პასპორტების ახალანდელი ნიმუშები ახლით შეიცვლება, რომლებსაც ექნებათ დაცვის მაღალტექნოლოგიური სამუალებები.

საქინფორმი.

უკანასკნელ საათს

ერაყელმა პარგიანებმა ამერიკელებს ჩაუმწარეს დამოუკიდებლობის დღის შეიმი. მოთარეშეებმა დაცხრილეს ბაღდადთან მდებარე ამერიკული ბაზა. 10 სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა. ერთი ამერიკელი ჯარისკაცი ბაღდადში სნაიპერმა იმსხვერპლა.

ოქტომბერში გაიმართება პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელის არჩევნები, რომელშიც მოძრაობა „ფატაგის“ ერთადერთი კანდიდატი არაფატი იქნება. იგი გაიმართება დაბადების მთავარი პრინციპების დაცვის პირობებში: პალესტინური დაჯგუფებები სამი თვით წყვეტენ ტერაქტებს ისრაელი მოსახლეობის წინააღმდეგ, ისრაელის ჯარები კი გოვეენენ პალესტინის ტერიტორიას.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში ქარი 10-15 მ/წმ.
დაბლობში ღამით +22°, დღისით +37°, **მთაში** ღამით +19°, დღისით +35°, **მაღალ მთაში** ღამით +16°, დღისით +27°.

აღმოსავლეთ საქართველოში
ბარში ღამით +20°, დღისით +32°, **მთაში** ღამით +18°, დღისით +31°. **მაღალ მთაში** ღამით +15°, დღისით +25°.

თბილისში
ღამით +20°, დღისით +32°.

ლარის კურსი

5 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ.	1	3.5713	ლარი
აშშ დოლარი	1	2.1375	ლარი
ევრო	1	2.4534	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0706	ლარი

ინტერპანორამა

„ალ-ჯაზირა“ ეთერში გაუშვა სადამ ჰუსეინის ახალი მიმართვა. კატარის ტელეარხის იმ ბუდიოჩანაწერით შეიძლება დავასკვნათ, რომ სადამი ცოცხალია, ჯანმრთელია და დღემდე ერაყში იმყოფება.

პაკისტანში აფეთქეს მუსულმანი შიიტების მეჩეთი. 35 კაცი დაიღუპა, ორმოცდაათმე მეტი კი დაიჭრა. აფეთქება ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ქალაქ კვეტაში მოხდა.

ეროლმა ყველას შეუძლია, აი, ხელქვეითობა კი — მხოლოდ რჩეულებს. — ასეთი დასკვნა გააკეთეს კანადელმა მეცნიერებმა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბოსის როლში სავსებით კომფორტულად იგრძნობს თავს ნებისმიერი ადამიანი, მაშინ, როდესაც ქვეშევრდომის როლში ყველა ვერ გამოდგება.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

— მეცხოვრობ თბილისში, ვმრდი დედ-მამიათ ობოლ 2 ბავშვს (ბეშს დისშვილებს). მეურვეობა გაფორმებული მაქვს სათანადო წესის დაცვით.

მაინტერესებს, ვრცელდება თუ არა რაიმე შეღავათი მათზე?

ნანიკო ყურაშვილი.

— მოქმედი კანონის თანახმად, მეურვეობის (მბრუნველობის) ქვეშ მყოფ ყველა უდედმამო ობოლ ბავშვს ენიშნება სოციალური (ოჯახური) დახმარება 22 ლარის ოდენობით თვეში, მიუხედავად მეურვის მრომისუნარიანობისა.

— დედაქალაქში მცხოვრებნი მთლიანად თავისუფლდებიან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისა და მომხმარებელი სასმელი წყლის გადასახადისაგან;

— ბუნებრივი აირის უფასო მოხმარება განესაზღვრებათ 40 კუბ. მეტრის ოდენობით თვეში, ხოლო ოჯახში ორი ან მეტი შეღავათის მქონე პირის არსებობისას — 60 კუბ. მეტრის ოდენობით;

— მათვე ეძლევათ სოციალური დახმარების განყოფილებიდან მგზავრობის კომპენსაცია თვეში 7 ლარის ოდენობით.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

„საქართველოს რესპუბლიკა“ — ამიკომპანია „აირგენა-საქართველოს ამიანაზეების“ თვითმფრინავებში.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 175, შაბათი, 5 ივლისი, 2003 წელი

ПРЕЗИДЕНТИ

„საანგარიშო პერიოდში საქართველო, როგორც მოქმედი თავმჯდომარე, ხელმძღვანელობდა სუუამის წევრ ყველა სახელმწიფოს მხოლოდ და მხოლოდ საერთო ინტერესებით და ყოველ ღონეს ხმარობდა გაერთიანების ავტორიტეტის ამაღლებისათვის“

პირველი გვერდიდან

დღეს უკრაინა, რომელიც ფლობს უნარშეპარი ინტელექტუალურ და საშეცნიერო პოტენციალს, ევროპისა და, განსაკუთრებით, ცენტრალური ევროპის ერთ-ერთი საკვანძო სახელმწიფოა. რომ არ იყოს ძლიერი, დემოკრატიული უკრაინა, ძნელი წარმოსადგენი იქნება სტაბილური ცენტრალური ევროპა. გავლის წლები, და ევროპა, ისევე როგორც მთელი მსოფლიოც, უფრო მკაფიოდ გააცნობიერებენ უკრაინის მნიშვნელობასა და ადგილს კონტინენტის სტაბილური და მშვიდობიანი მომავლის მშენებლობაში.

დღეს ვაჯამებთ წევნი საქმიანობის შედეგებს იალტის 2002 წლის სამიგის შემდეგ, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა იმ ინიციატივის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში, რომელიც ცნობილია, როგორც სუუამის გაერთიანება.

საანგარიშო პერიოდში სუუამის ფორმატით გაიმართა ოცდაათზე მეტი სხდომა და შესვედრა, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მის განვითარებაში, აგრეთვე სელი შეუწყვეს კონკრეტული პროექტებისა და პროგრამების შემუშავებას. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში შეიქმნა სპეციალური დეპარტამენტთამორისი ჯგუფი. მან დიდი სამუშაო გასწია.

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს, ეროვნულ კოორდინატორთა კომიტეტისა და დარგთშორისი სამუშაო ჯგუფების გამართული შუშობის შეოსებით შესაძლებლობა გვაქვს ამ სამიგზე ვიდაპარაკოთ, თუ რა დადებითი შედეგები მოპყვა წვენს საქმიანობას.

იალტის სამიგის გადაწყვეტილებანი შესრულებულია და ჩვენმა ქვეყნებმა შეძლეს თავიანთი მაგერიალური და ფინანსური რესურსები წარმართათ ორი ძირითადი მიმართულებით განვითარებისათვის.

პირველი — ეკონომიკური მიმართულება, რომელიც ითვალისწინებს, უწინარეს ყოვლისა, თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნას საქონლის განსაზღვრის ერთიანი წესების დაწესების, საბაჟო პროცედურების უნიფიკაციისა და პარმონიზაციის გზით, აგრეთვე კონკრეტულ დონისძიებათა მიღებას სუუამის ფარგლებში ვაჭრობისა და გრანსპორტირების ხელშეწყობისათვის. თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შესახებ შეთანხმების რეალიზაციის გამო ოფიციტურ სიმენოვანეთა მიუხედავად, სუუამის საქმიანობის ეკონომიკური სფერო კვლავაც პრიორიტეტულია. მიმაჩნია, რომ დაჩქარებული გეშპით თავისუფალი ვაჭრობის შექმნა, თუ არ განსორციელდა შესაბამისი ოსსამმაღებელი შუშობა, სასურველ შედეგს ვერ მოიგანს და ეს წვენ წარსულში, არაერთგზის გამოვიდადეთ წვენი ქვეყნების მაგალითზე.

მეორე — ტერორიზმთან, ორგანიზებულ დანშაგეობასთან, ნარკოგიკებისა და იარაღის არალეგალურ ბრუნვასთან ბრძოლა, ენერგეტიკული და სატრანსპორტო დერეფნების უსაფრთხო და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელთა გამო შესაბამის დოკუმენტებს ვიპირებთ ხელი მოვაწეროთ დღევანდელ სამიგზე.

ჩემი აზრით, განვლილ პერიოდში არჩეული იყო ჩვენი სახელმწიფოების სახელშეკრულეო სამართლებრივი ბაზის უნიფიკაციისა და პარმონიზაციის, შესაბამისი პროფესიული კადრების მომზადების, ევროპული სტრუქტურების გამოცდილების შესწავლის სწორი გზა, აგრეთვე თავისუფალი ვაჭრობის მექანიზმის ამოქმედების პირობები სასაზღვრო და საბაჟო კონტროლის უზრუნველყოფისა და ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით საჭირო დონისძიებათა განხორციელება.

დღეს ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრები ხელს მოაწერენ შესაბამის მემორანდუმს სუუამის სახელმწიფოებში ვაჭრობისა და გრანსპორტირების ხელშეწყობისათვის ურთიერთგაგების შესახებ, რომელიც, დარწმუნებული ვარ, თავის დადებით როლს შეასრულებს და დასრულებს მომზადების პირველ ეტაპს.

შემდეგ ჩვენ უნდა გადავიდეთ მეორე ეტაპზე — პრაქტიკულად განვახორციელოთ კონკრეტული დონისძიებანი შეთანხმების ამოქმედების, შემდგომ კი მისი რეალიზაციის საჭირო მექანიზმების შემუშავებისათვის. ამ საკითხში, რა თქმა უნდა, დიდ ამედებს ვამყარებთ შესაბამის საერთაშორისო და ევროპულ სტრუქტურებზე და მზად ვართ ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი ამ პროცესს.

ამ დარგში თანამშრომლობის გარკვეული დადებითი გამოცდილება ჩვენმა გაერთიანებამ შეიძინა ეუთოს ეკონომიკურ სტრუქტურებთან ურთიერთმოქმედებით, რომელიც უნდა განვავითაროთ.

მეორე მიმართულება, რომელიც დომინირებდა განვლილი პერიოდის მანძილზე, არის ანგიტერორისტული, რომელიც ჩვენი გაერთიანების საქმიანობის შემადგენელი ნაწილია. ამ მოსენტში მივადწიეთ მნიშვნელოვან შედეგებს ალნიშნულ სფეროში, რაც მოწმობს, თუ რა დიდი პოტენციალი აქვთ სუუამის ქვეყნებს რეგიონალური და შრავალმხრივი თანამშრომლობის თვალსაზრისით.

იმ დროის მანძილზე, რაც საქართველო თავმჯდომარეობდა სუუამს, ბევრს ვფიქრობდით მის მომავალზე და განსაკუთრებით იმაზე, რომ სუუამს თავისი ადგილი დაეკავებინა თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში, შრომის საერთაშორისო განაწილებაში.

ისევე როგორც ქვეყნების სხვა გაერთიანებებს, სუუამს საკუთარი თავისებურებანი აქვს. ჩვეულებრივ, ინტეგრაციული პროცესები ძალას იკრებენ იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც განლაგებული �ან ან შემოსლად, ანდა თუნდაც, ერთ რეგიონში. ჩვენი ქვეყნები კი ერთმანეთისაგან დაშორებულია, და, როგორც ცნობილია, სუუამის დაბადების ბიძგი მისცა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების ინტერესების თანხვედრამ.

დღეს ჩვენი ინტერესები ემთხვევა საკითხთა გაციდებით უფრო ფართო სპექტრს. მათ შორისაა დიდი პროექტების ერთობლივი განხორციელება. მაგრამ, სწორი იქნება, თუ ამ პროექტების ფარგლებში ვითანამშრომლეთ ისეთ სხვა ორგანიზაციებთანაც, როგორიცაა ბისეკი, ევროპის კავშირი. საერთოდ, ინტენსიური ურთიერთობა მათთან შეგიძ სასარგებლო იქნებოდა სუუამისათვის, რომელიც კი არ უპირისპირდება ვინმეს, არამედ ავსებს დღეს არსებულ ინტეგრაციულ სტრუქტურათა ფართო სპექტრს.

ასევე, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ორგანიზაციული დაახლოების გარდა, ალბათ, დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ ჩვენს ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობის შემდგომ განვითარებას. მაგალითად, საქართველოს შეგიძ მჭიდრო ურთიერთობა აქვს უკრაინასთან და აზერბაიჯანთან. სამწუხაროდ, ჩვენს შესვედრაზე ჩამოსვლა ვერ შეძლო ჩვენმა მეგობარმა ისლამ კარიმოვმა. ახლახან ერთმანეთს ვესაუბრეთ ტელეფონით და შეთანხმდით, რომ იგი საქართველოს ოქტომბერში ეწვევა. ვიმეგის დროს, ჩვენ, რა თქმა უნდა, განვიხილავთ ორმხრივი ურთიერთობის ინტენსიფიკაციის გზებს, მაგრამ სუუამის პრობლემატიკასაც შევეხებით. საერთოდ, ეფექრობ, რომ სუუამი იმსახურებს ყურადღებას არა მარტო ამ გაერთიანების სამიგებს, არამედ მონაწილე სახელმწიფოთა ორმხრივი შესვედრების დროსაც.

სუუამს აქვს შომავალი და ამას ჩვენი მეგობრებიც ხედავენ. შემთხვევით როდია, რომ ასე გვეხმარებიან ჩვენი ამერიკელი კოლეგები. არ გამოვრიცხავ, რომ მომავალში შეიძლება შემოგვიერთდნენ სხვა სახელმწიფოები, რომ სუუამი შეიძლება გახდეს ძალიან საჭირო სხვა ქვეყნებისთვისაც. განსაკუთრებით მინდა შევეხო „ვაჭრობისა და გრანსპორტირების ხელშეწყობის, სასაზღვრო და საბაჟო კონტროლის უზრუნველყოფის, ტერორიზმთან, ორგანიზებულ დანშაგეობასთან და ნარკოგიკების გავრცელებასთან ბრძოლის შესახებ სუუამი-ამერიკის შეერთებული შტატების ყოველსმომცველ პროგრამის“, რომელიც მარშან დეკემბერში დამტკიცდა. ეს პროგრამა შეიცავს სამ კონკრეტულ პროექტს, რომლებიც, დარწმუნებული ვარ, წარმატებით შეასრულმს ხორცს.

ამასთან დაკავშირებით, ნება მიბოძეთ, მადლობა მოვახსენო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას იმის გამო, რომ ფასდაუდებელ დახმარებას გვიწევს ამ პროექტების შემუშავებასა და მათი რეალიზაციისათვის კადრების მოზმადებაში. რომ არა ამერიკის შეერთებული შტატების კონკრეტული დახმარება, ჩვენს ქვეყნებს გაუჭირდებოდათ მოეპოვებინათ დღევანდელი შედეგი.

აი, რა მინდა კიდევ გითხრათ ნარკოგიკების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის თემის გაგრძელების თვალსაზრისით. ავღანეთის პრობლემის გადაჭრის შემდეგ, ცხადი გახდა, რომ ეს ქვეყანა მართლაც არის ნარკოგიკების წარმოების უდიდესი წყარო. სამწუხაროდ, საქართველო ვერ გახდა ბარიერი მათი გავრცელების გზაზე. ალბათ, უნდა ვიფიქროთ იარაღითა და ნარკოგიკებით ვაჭრობასთან ბრძოლის სპეციალური ცენტრის შექმნაშეც, რადგან ეს შოვლენა უაღრესად სამიშ მასშტაბს იძენს რეგიონშიც და მის ფარგლებს გარეთაც. ჩვენ საქართველოში ნარკოგიმნის მკურნალობაზე ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში ვმუშაობდით, როცა ქვეყანაში მთლიანად უარყოფდნენ ამ პრობლემის თვით არსებობასაც ეკ. საქართველოს მდებარეობა და ნარკომანიასთან ბრძოლა ტრადიციები ყველა საფუძველს გვაძლევს, რათა სწორედ ჩვენთან შეიქმნას ასეთი ცენტრი, ან იქნებ სხვა ქვეყანაშიც. რა თქმა უნდა, ჩვენი შეგიდ შემდეგული შესაძლებლობების გამო მარტო ვერ გადაწყვეტთ ამ საკითხს. იქნებ, დასავლეთის სახელმწიფოები, ჩვენი პარტნიორები და მეგობრები გაგვიწევენ საჭირო დახმარებას.

პატივეცემულო კოლეგებო, მინდა მადლობა გადავუხადო საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებს, აგრეთვე სამიგზე წარმოდგენილ დაინტერესებულ ქვეყნებს მუდმივი ყურადღებისა და დახმარებისათვის.

საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებთან სუუამის უფრო აქტიური ურთიერთმოქმედებისა და მისი კოორდინაციისათვის მომზადდა იმის საჭიროება, რომ შეიქმნას (ამაში დარწმუნებული ვარ) სუუამის სამდივნო და ამ თვალსაზრისით მზარს ვუჭერთ უკრაინის ინიციატივას. მთავარია, რომ საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ ამის თაობაზე.

თანამშრომლობის კონკრეტული პროექტებისა და პროგრამების რეალიზაციისათვის მთავარი გვითი დაეკისრებათ დარგთშორის სამუშაო ჯგუფებს. მოდით, ვიფიქროთ იმის შესახებ, რომ დაფუძნდეს სუუამის დემოკრატიული გარდაქმნათა განვითარების სამუშაო ჯგუფი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, აამაღლებს ჩვენი გეგრთიანების ავტორიტეტს საერთაშორისო ასპარეზზე.

წინადადება შემომაქვს, აგრეთვე, დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და ქვეყნებთან ერთად განვიხილოთ საკითხი სუუამის ქვეყნების ერთობლივი საინვესტიციო ცენტრის შექმნის შესახებ, რომლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები შეიძლება ის იყოს, რომ:

— ხელი შეუწყოს ერთობლივი რეგიონალური პროექტების განხორციელებასა და ინვესტიციების მოზიდვას სუუამის ქვეყნებში;

— ხელი შეუწყოს კომერციული თანამშრომლობის განვითარებას სუუამის ქვეყნებს შორის;

— რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის შესწავლას და შესაბამისი საინვესტიციო წინადადებათა და შესაძლებლობათა შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, აგრეთვე სხვა საკითხებს.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამას, რომ დღეს ამ შესვედრას ესწრებიან შეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტები და წარმომადგენლები. ეს შემთხვევითი როდია. ეფიქრობ, სუუამის მუშაობაში ჩვენს ქვეყნებში მეცნიერების განვითარების პრობლემები, კოორდინაცია ამ ნაწილში განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს.

თუ ეს იდეა განხორციელდება, შეიძლება შეიქმნას სპეციალური ფონდი, რომელიც თავს მოუყრის სახსრებს სუუამის ფარგლებში რეგიონალური პროექტების დაფინანსებისა და ტექნიკური მხარდაჭერისათვის. ბუნებრივია, გვაქვს ჩვენი კოლეგების მხარდაჭერის იმედი მსოფლიო მასშტაბითა და ევროპაში.

დასასრულ, სამგზისთი მინდა აღვნიშნო, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველო, როგორც მოქმედი თავმჯდომარე, ხელმძღვანელობდა სუუამის წევრ ყველა სახელმწიფოს მხოლოდ და მხოლოდ საერთო ინტერესებით და ყოველ ღონეს ხმარობდა გაერთიანების აგტორიტეტის ამაღლებისათვის.

პატივეცემული ლეონიდ დანიელის ძევ!

კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენ და თქვენს ქვეყანას სამიგის ჩინებული ორგანიზაციისათვის.

გმადლობთ ყურადღებისათვის.

სამიტი

„სუუამი პარტნიორობისთვის კარს ხსნის, გაერთიანება შეეცდება გაეროს გენერალურ ასამბლეაში მეთვალყურის სტატუსი მოიპოვოს“

პირველი გვერდიდან

4 ივლისს, პლენარული სხდომის დასრულების შემდეგ, სუუამის წევრმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს:

შეთანხმებას ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულის, ნარკოგიკების გავრცელებისა და დანაშაულის სხვა სამიშ სახეობათა წინააღმდეგ ბრძოლის სუუამის ვირტუალური ცენტრის შექმნის შესახებ;

ურთიერთგაგების მემორანდუმს სუუამის წევრი სახელმწიფოების ვაჭრობისა და გრანსპორტირების სფეროში თანამშრომლობის შესახებ;

შეთანხმებას სუუამის წევრი სახელმწიფოების მორის საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ;

შეთანხმებას სუუამის წევრი სახელმწიფოების ეროვნული ბიბლიოთეკების ურთიერთობა-ურთიერთშემოქმედებისა და ინფორმაციული ბაზების ფორმირების შესახებ;

ოქმს სუუამის წევრი სახელმწიფოების სახელმწიფო საზღვრის დაცვის ორგანოებს შორის თანამშრომლობის შესახებ;

ოქმს სუუამის წევრი სახელმწიფოების შეცნიერებათა აკადემიებს შორის შეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

ის გარემოება, რომ ამ დოკუმენტების ამოქმედებას სუუამის ყველა წევრი ქვეყნის დელეგაციის წარმომადგენელთა ხელმოწერები ადასტურებს, თავისთავად ფინტავს გავრცელებულ ეჭვებს იმის თაობაზე, რომ სუუამმა თავისი შესაძლებლობანი ამოწურა. იმის მიუხედავად, რომ შესვედრას აზერბაიჯანის, უზბეკეთისა და მოლდოვის პრეზიდენტები, ოფიციალური განმარგებით სრულიად ობიექტური მიზეზების გამო, სამიგს ვერ დაესწრნენ, სამივე ქვეყანამ, ამ დოკუმენტების მიღებით, ისინი სანინააღმდეგ. მათ განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი იმას, რომ აუცილებელია უსწრაფესად, საერთაშორისო ნორმებისა და პრინციპების საფუძველზე, გადაიჭრას გაჭიანურებული კონფლიქტები და, ასევე, აუცილებლად უნდა იყოს დაცული სახელმწიფოთა სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

იალტაში გამართული განხილვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა იყო ეკონომიკური, ენერგეტიკული, სატრანსპორტო და საინფორმაციო სფეროებში თანამშრომლობის განმტკიცება, როგორც სუუამის წევრ სახელმწიფოთა უმნიშვნელოვანეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამ კონტექსტში განიხილეს თავისუფალი სავაჭრო მონის, სატრანსპორტო დერეფნების, რეგიონის ფარულებში ტრანსპორტირების მიმმიდველი ფორმების შემუშავების საკითხები. მათ რეალიზაციას კი ხელს აუცილებლად შეუწყობს სამიგმე ხელმოწერილი მრავალმხრივი დოკუმენტები სასაზღვრო და საბაჟო კონტროლის სფეროში, ასევე ვაჭრობისა და საგრანსპორტო გადაზიდვების შესახებ.

სამიგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია ვირტუალური ცენტრისა და საერთაშორისო საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის შექმნა. სხვათა მორის, იალტაშივე მიღებულ მეორე უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში — სუუამისა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ ამერიკის მთავრობამ მიმდინარე ფინანსურ წელს დაახლოებით მილიონი დოლარი გამოყო სუუამი-ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი ყოველსმომცველი პროგრამის, მათ მორის, ვირტუალური ცენტრისა და საერთაშორისო საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის შესახებ პროექტების განსახორციელებლად.

* * *

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სუუამის იალტის სამიგის შედეგებმა გააქარწყლა სკეპტიკოსთა ეჭვები (რომლებიც უფრო გაძლიერდა იალტაში სამი პრეზიდენტის ჩამოუსვლელობის გამო) იმის შესახებ, რომ გაერთიანება სადაცაა დაიშლება. მეგიც, სუუამმა საჯაროდ გამოაცხადა სურვილი და ამბიცია, როგორც ძლიერმა რეგიონალურმა ორგანიზაციამ, მოიპოვოს მეთვალყურის სტატუსი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში. ამასთან, სუუამი მზად არის დაამყაროს პარტნიორული ურთიერთობა დაინტერესებულ სახელმწიფოებთან, საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებთან.

სუუამის ამ საკმაოდ მკვეთრ და ერთგვარად გამომწვევ განცხადებას საფუძველს უმყარებს ის გარემოება, რომ იგი უკვე საკმაოდ წარმატებულად თანამშრომლობს ამერიკის შეერთებულ შტატებთან. სწორედ ამ თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება ყოველსმომცველი პროგრამა „სუუამი-ამერიკის შეერთებული შტატები“. იალტის სამიგზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის სტეივენ პაიფერის მეთაურობით სპეციალური დელეგაციის სტუმრობამ ცხადყო, რომ ამ ურთიერთობამ საკმაოდ მაღალი ხარისხი შეიძინა. ეს თავად პაიფერმაც დაადასტურა ქართველ ეროვნალისტებთან საუბარში. მისი განცხადებით, იალტის სამიგზე მიღებული ერთობლივი განცხადება სუუამთან სამწლიანი თანამშრომლობის ლოგიკური შედეგია და მხარეები ამ თანამშრომლობას კვლავაც გააგრძელებენ კონკრეტული პროექტების განხორციელების გზით.

ამგვარად, სუუამის იალტის სამიგი, რომელსაც ობიექტურად შეიძლება ვუწოდოთ ნაყოფიერი და, გაერთიანების მომავალი განვითარების თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანი, დასრულდა. სუუამის შემადგენლობაში კვლავ ვინაზებურად ხუთი სახელმწიფოა — საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი და მოლდოვა. თუმცა ხუთწევრიანი რეგიონალური გაერთიანების მაღალი დონის სამიგს ათზე მეტი არაწევრი სახელმწიფოს დელეგაცია დაესწრო. ეს, სულ მცირე, იმას ნათელყოფს, რომ ეს სახელმწიფოები დაინტერესებული არიან სუუამის საქმიანობით. იმას, თუ რამდენად გაღაიბრდება ეს ინტერესი თანამშრომლობის სურვილში და რამდენად გააამრთლებს სუუამის ახალი გეგმაკა, გაერთიანების წევრები მორიგ სამიგზე, ზუსგად ერთი წლის შემდეგ და ზუსგად იმავე ადგილას შეაფასებენ.

მაია ალუდაური,
საქინფორმის კორ.

ДАЖИЛДОЕБА

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 1 ივლისი ქ. თბილისი

ირინა კუბლაშვილისა და ლეილა შუბლაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

მოწყალე ახალგაზრდობის მუსიკალურ განათლებასა და მათ ესთეტიკურ აღზრდაში შეგანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის თბილისის კოტე ფოფხეკრაშვილის სახელობის მე-7 სამუსიკო სკოლის ფორტეპიანოს კლასის პედაგოგები, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ირინა კუბლაშვილი და სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ლეილა შუბლაძე დაჯილდოდნენ ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 2 ივლისი ქ. თბილისი

ცუცა ცხოვლიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

რაიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში შეგანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი პრაქტიკული საქმიანობისათვის ოზურგეთის რაიონის სოფელ ფალეევურის საფინანსო დარგის ლეგალმოსილი მუშაკი ცუცა ცხოვლიძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 2 ივლისი ქ. თბილისი

ვახტანგ ბურნლის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვა-განვითარებაში, სამეალო და მსხვილი კომპიუტერიზაციის პროექტების შესრულებაში შეგანილი პირადი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი პრაქტიკული საქმიანობისათვის შემდეგული პასუხისმგებლობის საზოგადოება „არქის“ კონსულტანტი ეკონომიკური დაგეგმარების საკითხებში ვახტანგ ბურნული დაჯილდოდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 1 ივლისი ქ. თბილისი

იური ქართველიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში მეტალურგიის, ქიმიური ტექნოლოგიისა და მასალათმცოდნეობის დარგის განვითარებაში შეგანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური, ორგანიზაციული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იური ქართველიშვილი დაჯილდოდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

ურჩი გადამზდელები

პირველი გვერდიდან

ყელზე დადგომა წყალმაც იცის

სამელიორაციო ასოციაცია „ქუთლიარის“ ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხების შემოწმებისას, რომელიც შეეხო 1997 წლიდან 2003 წლის 1 იანვრამდე პერიოდს, მას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დამაგებით დაერიცხა ძირითადი გადასახადი 11190 ლარი, სანქცია — 2554 ლარი და საურავი — 19324 ლარი, რამაც მთლიანად 33068 ლარი შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დამაგებით თანხების დარიცხვა გამოწვეულია იმით, რომ ასოციაციის დირექტორმა მ.ყურბანოვმა მარნეულის ზონალურ საგადასახადო ინსპექციაში შესამოწმებელ პერიოდში დეკლარაციები, გაანგარიშებები და ბალანსები არ წარადგინა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოლეაწეობის დასასრულებით ხუთი წლის განმავლობაში მარნეულის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მოქმედებდა ორგანიზაცია, რომელსაც ზონალურ საგადასახადო ინსპექციასთან არანაირი შეხება არ ჰქონია! ყოველ შემთხვევაში ისეთი, როგორიც კანონს შესაბამისად უნდა ჰქონოდა.

ამდენად, შემოწმების მასალების შესწავლით დადგინდა, რომ სამელიორაციო ასოციაციამ „ქუთლიარის“ ხელმძღვანელობამ 1997 წლიდან 2002 წლის დამლევამდე დიდი ოდენობით თავი აარიდა გადასახადის გადახდას, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს მიაყენა 11190 ლარის მარალი. ამ ფაქტთან დაკავშირებით, მისი ხელმძღვანელის მ.ყურბანოვის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილით საგანგებო ლეგიონმა აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

რამდენადაც საქართველოს გეოგრაფიიდან ვიცით, მარნეულისა და გარდაბნის რაიონები მეზობლები არიან. როგორც ჩანს, მაგნე საგადასახადო მნე-ჩვეულებები მეზობლებში საკმაოდ იოლად ვრცელდება. საქმე ის არის, რომ გარდაბნის რაიონის სოფელ ქესალოს სამელიორაციო ასოციაცია „ქესალოს“ ხელმძღვანელს ი.ქარიმოვს ზუსგად ისეთივე დამოკიდებულება აქვს სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილ გადასახადებთან, როგორც მის მარნეულელ კოლეგა მ.ყურბანოვს.

სამელიორაციო ასოციაცია „ქესალოს“ ძირითად საქმიანობას, ასოციაცია „ქუთლიარის“ მსგავსად, სოფლის საკრებულოს ტერიგორიაზე მოქცეული წყლის მომხმარებლების სარწყავი წყლით უზრუნველყოფა და აქედან მიღებული მოგება მის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს.

ასოციაციის სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხების შესწავლის შედეგად, რომელიც საგანგებო ლეგიონმა ჩაადგარა, დაფუძნების დღიდან ანუ 2000 წლიდან 2003 წლის 1 იანვრამდე პერიოდში გაწეული სამეურნეო საქმიანობისათვის მას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დამაგებით დაეკისრა 5371 ლარის გადახდა. აქედან 2337 ლარი ძირითადი გადასახადი, ხოლო დანარჩენი — სანქცია-საურავი.

ისევე, როგორც ზემოაღწერილ პირველ შემთხვევაში, დამაგებით თანხების დარიცხვა იმით არის გამოწვეული, რომ ასოციაციის დირექტორს ი.ქარიმოვს გარდასახის მონალურ საგადასახადო ინსპექციაში დეკლარაციები, გაანგარიშებები და ბალანსები არ წარუდგენია.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ისევე, როგორც პირველ შემთხვევაში, სამელიორაციო ასოციაციის სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების მასალები საგანგებო ლეგიონში შესაბამისი მონალური საგადასახადო ინსპექციებიდან გადაიგზავნა, თუმცა ჩვენთვის გაუგებარია, თუ რაგომ დასჭირდა ამას ერთ შემთხვევაში თითქმის ხუთი, მეორეში კი თითქმის სამი წელი.

ამდენად, 2000-2002 წლებში დიდი ოდენობით გადასახადისათვის თავის არიდებასთან დაკავშირებით, რამაც სახელმწიფო ბიუჯეტს 2337 ლარის მარალი მიაყენა, სამელიორაციო ასოციაცია „ქესალოს“ ხელმძღვანელის ი.ქარიმოვის მიმართაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

კოტე კანდელაკი,
საქინფორმის კორ.

ბოდიშს ვუხდით

„სრ“ რედაქცია ბოდიშს უხდის საქართველოს პარლამენტის წევრთა ერთ ჯგუფს, მათ შორის, პარლამენტარებს ვიგალი ხაბარაძეს და ვახტანგ რწილაშვილს გამეთისთვის მიუღებელი უსემი ტონისა და მცდარი შეფასებისათვის, რაც ჩვენი უყურადღებობით გაიპარა მწერად ლადო მრელაშვილთან ინტერვიუში „სავუბარი დიდოსტატთან“ („სრ“ №174).

ბრმაზ სანებლიძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ექსკლუზივი

შევარდნაძესთან ურთიერთობას ბეიკერი ექსტრაორდინარულ მეგობრობას უწოდებს

ნოზრის სტუმარია პოლიტოლოგი ნუგზარ მოლოდინაშვილი



(პირველი გვერდიდან)

გარდა ამისა, არა მგონია, რომ საჭირო იყოს პრეზიდენტის ამამი დარწმუნება და მით უფრო, ამისათვის ბეიკერის გამოგზავნა. ამის სათქმელად საგელეფონო საუბარიც საკმარისი იქნებოდა. მათ აქვთ ისეთი ურთიერთობა, რომ ფორმალობების გარეშე გაუზიარონ ერთმანეთს მოსაზრებები და რჩევები.

— გასაგებია, რომ მათ ერთად დასანგრიეს საბჭოთა კავშირი, ბერლინის კედელი, მაგრამ ახლა სხვა დროა და სხვა პრობლემები...

— რა დროც არ უნდა იყოს, მათი ურთიერთობები ორივეს აძლევს იმის საშუალებას, რომ ნებისმიერ წამს დაუკავშირდნენ ერთმანეთს. თვითონ ბეიკერი შევარდნაძესთან თანამშრომლობას თავისი ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს და კაცობრიობის ისტორიისათვის ეპოქალურ მოვლენად აფასებს. ბეიკერის ინსტიტუტის ინტერნეტ-საიტზე უზარმაზარი ადგილი უკავია შევარდნაძის პიროვნებას, აღნუსხულია მათი შეხვედრები, საგელეფონო საუბრები, თანამშრომლობის ეტაპები. ცალკე ადგილი ეთმობა 1990 წელს საპრესეთის ყურის ომისათვის საერთაშორისო კოალიციის შექმნას და ამ პროცესის უმთავრეს ეტაპად მიჩნეულია სწორედ ბეიკერისა და შევარდნაძის შეხვედრები 1990 წლის აგვისტოში. მაგალითად, იმდროინდელ ჩანაწერებში ბეიკერი აღნიშნავს, რომ „ამ შეხვედრების დროს საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შეერთებულ შტატებს შორის ჩამოყალიბდა უპრეცედენტო თანამშრომლობის აგმოსფერო, ხოლო ორ სახელმწიფო მოღვაწეს შორის ექსტრაორდინარული მეგობრობა“. თუ საპრესეთის ყურის ომის შესახებ შეიძლებოდა გელეფონით საუბარი, საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე რაგომ არ შეიძლება?

— ზოგიერთი ამერიკელი ანალიტიკოსიც ამიარებს იმ აზრს, რომ ბეიკერი კრიტიკული იქნება შევარდნაძის მიმართ?

— მე რასაც ვუსმინე, ეს იყო ჩარლზ ფერბენკსის ვარაუდი, რომელიც მისი პოზიციიდან გამომდინარეობს. სხვათა შორის, მის ანალიტიკურ სტატიებში საკმაოდ კრიტიკულადა შეფასებული როგორც 1995 წლის, ასევე 1999 წლის საპარლამენტო არჩევნები და დახასიათებულია როგორც „ფორმალური დემოკრატიის“ ნიმუში. თუ ვინმეს ჰკონია, რომ ამ განსაზღვრებიდან ცნება „ფორმალური“ შევარდნაძის ანგარიშზე ჩაეწერება, სრულ „დემოკრატიის“ თავისათვის მიითვლის, ძალიან ცდება. ყველამ კარგად იცის, ვინ იყო დანტერესებული ამგვარი ფორმალურობით და ვინ აყალბებდა არჩევნებს. ასე რომ, ჩვენი დღევანდელი ოპოზიციაც „ფორმალური დემოკრატიის“ პროდუქტია.

— გასაგებია, რომ ყველანას გუნდს გულისხმობთ, მაგრამ ისინი აცხადებენ, რომ ყველა საარჩევნო სტრატეგიითა და პარკამპანიით იყო დაკავებული, არჩევნებს კი გუბერნატორები და გამგეებები აყალბებდნენო...

— ხან იმახის, თანამდებობითაც და რეალური ძალაუფლებითაც მეორე კაცი ვიყავი, ხანაც თავი ლამის ბუკლეტების და პლაკატების დიზაინერად გამოჰყავს. სხვები აყალბებდნენ, თვითონ კი მერე აცხადებდა, ამ გუბერნატორსა და გამგებლებს ფუფუნი დაუკონსეთო... არა მხოლოდ იმ დროს, არამედ დღესაც ყვანიას გუნდია ყველაზე მტკიცე გარანტი იმისა, რომ არჩევნები გაყალბდეს. ყველაზე მეტად სწორედ მათ არ აძლევთ ხელს მართლა დემოკრატიული და მართლა სამართლიანი არჩევნები და სხვათაშორის, ხელისუფლებაზე მეტად, ამისი დანარჩენ ოპოზიციას უნდა ემნიოდეს და ემნიის კიდეც. მათ სხვა მანსი არა აქვთ, ვინაიდან ყველა ობიექტური გამოკვლევით, „გაერთიანებული დემოკრატებს“ შეიდპროცენტიანი ბარიერის გადალახვის არანაირი შესაძლებლობა არ გააჩნიათ. ყველაფერი დანარჩენი, რაც ხდება — ვითომ გაერთიანებები, ვითომ ალიანსები, ვითომ საერთაშორისო სკანდალები, ვითომ რეგიონგები, სტგელეკვნეციის თანხლებით, ნინო ბურჯანაძის თამარ მეფედ კურთხევის ცერემონიები — ეს ყველაფერი დეკორაციაა, რომლითაც უნდა შენიღბონ მოგვარი ფორმალურობით და ვინ ბრალია, ამ ბრალდებულ ოპოზიციის „ფორმალური დემოკრატიის“ პროდუქტი.

*— დასასრულ, ბატონო ნოზრ, ბეიკერი ბოლო ორ-სამ კვირაში ორჯერ ჩამოვიდა საქართველოში. ეს ფაქტი ბევრ ეჭვს ბადებს. ეს ეხება ეროვნულ ინტერესებს, ეხება ეროვნულ ინტერესებს, ეხება ეროვნულ ინტერეს

საქართველოს რესპუბლიკა
№ 175, შაბათი, 5 ივლისი, 2003 წელი.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

მოდით, ცხოვრება თავიდან დავიწყოთ

რობერტ ცნობილია, სოხუმის სააქციო საზოგადოება „ორგტექნიკა“ ერთ-ერთი მოწინავე, მრავალეროვანი საწარმო იყო მთელს საქართველოში. ამჟამად იგი, ცნობილი მიზეზების გამო, ქუთაისშია გადმოგანილი.

საწარმოში მიმდინარე სიახლეებზე გვესაუბრება სააქციო საზოგადოება „ორგტექნიკის“ პრეზიდენტი ალუ ბაბასარია:

— რა თქმა უნდა, — ამბობს ბატონი ალუ, — ჩვენი ქუთაისში ყოფნა, საწარმოს საქმიანობის აღდგენა, რაც ქუთაისელთა თანადგომით მეუფერხებლად შევძელით, დროებითია. ძალიან მნიშვნელოვანი იყო სააქციო საზოგადოება „ელექტრომექანიკოსის“ ხელმძღვანელების, ცნობილი მეწარმის არჩილ მურღულიას, ბაკურ ბალანჩიკაძის და მთელი კოლექტივის თანადგომა, რომელიც დღემდე გრძელდება. ღრმად გვწამს, რომ სულ მალე აფხაზეთში, მშობლიურ კერებს დაუბრუნდებით. ამიგომაც დღევანდელი ჩვენი საქმიანობა, მიმართულია ამ სანუკვარი დღის დასაჩქარებლად.

ორი წლის წინათ საქართველოს თვითუმრუნველყოფის ფონდმა გამოაცხადა კონკურსი იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიმართული „ახლებური მიდგომების“ პროექტების დასაფინანსებლად.

წარვადგინეთ და კიდეც გაიმარჯვა ჩვენმა პროგრამამ. იგი ითვალისწინებდა კოლექტიურ დასახლებაში მცხოვრები ისეთი 16 დევნილი ოჯახის შერჩევას, რომელთა შემადგენლობა ოთხ სულზე ნაკლები არ იქნებოდა, თითოეულ ოჯახში ორი ან მეტი შრომისუნარიანი წევრით, და ექნებოდათ სოფელში ცხოვრებისა და მეჩაიეობის დარგში საქმიანობის სურვილი და გამოცდილება. ასევე, პროექტი ითვალისწინებს ამ პირობებით შერჩეული 16 ოჯახის თემად ჩამოყალიბებას, საკრედიტო კავშირის სახით მისი სასელმწიფო რეგისტრაციაში გაგარებას და სხვა.

შევარჩიეთ ეს ოჯახები, წყალტუბოს რაიონში მცხოვრები დევნილებისაგან. მათგან შეიქმნა თემი, რომელმაც დაიფუძნა საკრედიტო კავშირი — კოოპერატივის სამართლებრივი ფორმით. თემს საკარმიდამო მიწის ნაკვეთები წყალტუბოს რაიონის გამგეობამ გამოუყო. ამ საქმეში დიდი მხარდაჭერა აღმოგვიჩინეს წყალტუბოს რაიონის გამგებელმა მირზა ქორქაშვილმა, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსმა მერაბ ჩიკვაიძემ და სოფელ მაღლაკის გამგებელმა მურად მაღლაკელიძემ. თითოეულ ოჯახს ერგო 2500 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც თემს გადაეცა უსასყიდლოდ. აფხაზეთში დაბრუნებამდე. დღეისათვის მიწის ნაკვეთები დასუფთავდა, მოიხნა, დათესა, ტერიტორია შემოიღობა. მათივე გამოყეო წვრილფეხა რქოანი საქონელი: ორ-ორი თხა, ორ-ორი გოჭი, ოთხ-ოთხი ქათამი და ისვი. პირველი ხანებისათვის — საკვებთან ერთად თემის წევრები თავიანთი ძალებით მოაწყობენ ცხოველებისა და ფრინველების სადგომებს, მოიყვანენ სიმინდს, ლობიოს, ბოსტნეულს და ა. შ. ასე

ვარებისა და მშობლიურ კერებში დაბრუნების პრაქტიკული განხორციელების წინაპირობა... აქაა უშუალო კავშირი ჩვენს მიზანსა და პრაქტიკულ საქმიანობას შორის. ერთი მხრივ, ეს ითვალისწინებს როგორც დევნილთა აფხაზეთში დაბრუნებამდე მათი სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას, ასევე აქტიურებს ამ საზოგადოებას სახალხო დიპლომატიაში ჩართვისათვის.

მეორე მხრივ, მსგავსი თემების ჩამოყალიბება კარგი წინაპირობაა იმისათვის, რომ შემშადდეს ნიადაგი აფხაზეთში ორგანიზებული და ღირსეული დაბრუნებისათვის, რამეთუ თემს უკვე ჰყავს თავისი გამგეობა, სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც უზრუნველყოფილია გარკვეული ფინანსური რესურსებით.

ჩვენ უნდა ვიჩვენოთ აფხაზებს, რომ რეალურად, სისხლხორცულად ვჭირდებით ერთმანეთს. განა აფხაზები და ჩვენ არ ვხედავთ, რომ უერთმანეთოდ განვლილი ათი წელიწადი დაკარგულია ჩვენთვისაც და მათთვისაც?

შარშან, მაისში დიდ ბრიგანეთსა და ჩრდილო ირლანდიაში ჩატარებულმა ქართულ-აფხაზურმა

საწარმოს ჯერჯერობით ასაკიანი კოლექტივის ყოველდღიურ გამართულ მუშაობას სათავეში უდგანან ისეთი ხელმძღვანელები, როგორებიც არიან ქარხნის გენერალური დირექტორის მოადგილე წარმოების დარგში, საქართველოს თვითუმრუნველყოფის ფონდის პროექტის კოორდინატორი მერაბ ლაბარტყავა, პროექტის ასისტენტი როდიკო გაბელია, დირექტორის მოადგილე კომერციულ საკითხებში ნუგზარ ხარჩილავა, გრეინინგების ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე ეკონომიკის დარგში მერი გელამვილი...

— ბატონო ალუ, ეს არის ის პრაქტიკული ნაბიჯი, რასაც ახორციელებთ თქვენი მთავარი მიზნის — აფხაზეთში დაბრუნების ხელშეწყობად და დასაჩქარებლად. კიდევ გვქონდა ასეთი ნაბიჯები?

— დიახ, ყველაფერი ის, რაზედაც შემოთ ვისაუბრეთ, არის ჩვენი მთავარი მიზნის — აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ერთ-ერთი ფორმა. ეს ერთ-ერთი ფორმა ... ეს ... ეს ... ...

№ 175. შაბათი, 5 ივლისი, 2003 წელი.

მსოფლიო 11 სექტემბრის შემდეგ

კაცობრიობა ახალ რეალიებს ენდა შეეგუოს

ამერიკის შეერთებულ შტატებში 2001 წლის 11 სექტემბერს დაგრიალებული ტრაგედიის შემდეგ ჩვენი გაჩენიდან 17 ოქტომბრის ნომერში ვწერდით, რომ კაცობრიობის ისტორიის თვისებრივად ახალი, უპრეცედენტო ეტაპი დაიწყო. საუკუნეთა განმავლობაში უმწვავესი პრობლემების მხოლოდ ტრადიციული მეთოდებით გადაწყვეტის ხანა ისტორიის კუთვნილება ხდება. კაცობრიობა კი მსოფლიოს ახალ რეალიებს უნდა შეეგუოს.

სავსებით ლოგიკურია, რომ მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალური მასშტაბის ბრძოლას ამერიკის შეერთებული შტატები ჩაუდგა სათავეში. მას, როგორც ერთადერთ მესახელმწიფოს, თავისი უპრეცედენტო სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალით, ფაქტობრივად, მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების ფუნქცია დაეკისრა.

მსოფლიოში შექმნილმა ახალმა სიტუაციამ, რაც განაპირობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ „ცივი ომის“ დამთავრებამ, ბიპოლარული მსოფლწესრიგის მოშლამ, საბჭოთა კავშირის დაშლამ და პოსტსოციალისტური სამყაროს ძირეულმა ტრანსფორმაციამ კაპიტალისტურ საწყისებზე, მკვეთრად გამოკვეთა ამერიკის შეერთებული შტატების წამყვანი როლი და ადგილი მსოფლიოში, ამასთანავე დღის წესრიგში დაყენება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (რომელიც სანფრანცისკოს კონფერენციაზე 1945 წლის ივნის-ოქტომბერში შეიქმნა) გარკვეული გარდაქმნის აუცილებლობა.

დღევანდელი მსოფლიო სრულიად ახალი, უპრეცედენტო მასშტაბებისა და უმწვავესი „ახალი გამოწვევებისა“ და „მუქარის“ წინაშე აღმოჩნდა, რაც, ბუნებრივია, სწრაფ, გადაუდებელ მოქმედებას საჭიროებს.

ასეთ ვითარებაში არ არის გასაკვირი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, ერთი შეხედვით, არაორდინარულად რეაგირებდა და მოქმედებდა ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დასამხობად. ამერიკელთა ასეთი მოქმედება დღემდე მსოფლიო მასშტაბის მწვავე სადისკუსიო თემად რჩება. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ამერიკის ტრადიციულმა დასავლეთის მთავარმა მოკავშირეებმა, ტრანსატლანტიკური ალიანსიდან – საფრანგეთმა და გერმანიამ, ამერიკელთა მოქმედება მკაცრად დაგმეს, ხოლო რუსეთმა ერაყში ომის დაწყება... ვლადიმერ პუტინის „სერიოზულ შეცდომად“ მიიჩნია. მართალია, ამერიკის ევროპელმა მოკავშირეებმა და რუსეთმა ეს მწვავე აბი მალე „მოინელეს“ და „ტრანსატლანტიკური სოლიდარობის“ ერთგული რჩებიან და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლაში არიან ჩართული (ამერიკის თანამონაწილეები), მაგრამ გარკვეულწილად, ისინი თავს „დაჩაგრულად“ გრძნობენ, ეინაიდან შეერთებულმა შტატებმა (რომელსაც მხარი აუბა დიდმა ბრიტანეთმა და ესპანეთმა, აგრეთვე, ევროპის რამდენიმე ქვეყანამ) მხედველობაში არ მიიღო მათი რეკომენდაციები მხოლოდ გაეროს უმაღლესის საბჭოს ახალი რეზოლუციის საფუძველზე წამოეწყო სამხედრო აქცია ერაყში. ვფიქრობთ, ერაყის „განმათავისუფლებელი აქციის“ მთავარი მიზანი (გარდა ერაყის სტრატეგიული მნიშვნელობის სტრატეგიული მიზნით ერთხმად მხარი დაუჭირეს (სამიგის გახსნის წინ) ამერიკელთა ოპერაციას ერაყში. სამიგის მთავარი თემა იყო ევროპის კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა, რომელიც „ევროპის შეერთებული შტატების“ მსგავსი, ზესახელმწიფოებრივი გაერთიანების შექმნას („წმინდა ევროპულ“ კონსოლიდაციას) ითვალისწინებს, დამოუკიდებელი სამხედრო ძალებით, მაგრამ გრანსგლანტიკური სოლიდარობის „ამერიკული ქოლგით“, ამას მსოფლიოს „ახალი გამოწვევები“, „მსოფლიო ტერორიზმის საფრთხე“ და „მუქარა“ ასულდგმულებს. დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ამანებით მსოფლიოს მთელი რიგი ქვეყნების მისწრაფება საკუთარი პრობლემების გადასაწყვეტად და „მსოფლიო იმიჯის“ დასამკვიდრებლად მასობრივი მოსახობის საკუთარი იარაღი შექმნან. ამიგომ „ამერიკული ქოლგა“ კიდევ დიდხანს იქნება აუცილებელი ევროპის სახელმწიფოებისთვის. კაცობრობამ არ უნდა დაუშვას მასობრივი მოსახობის იარაღზე დაფუძნებული მრავალპოლუსიანი მსოფლიოს შექმნა. იგი „ცივი ომის“ პერიოდის სამაგი გადმონაშთი იქნება, კაცობრიობა სრული განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

ამერიკის შეერთებული შტატების „ცალმხრივი“ სამხედრო ოპერაცია ერაყში (გაეროსა და საერთაშორისო ნორმების გვერდის ავლით), ნაკარნახევი იყო მსოფლიოში სრულიად ახალი რეული და სამიმი ვითარებით, სტრატეგიული მნიშვნელობის ერაყის ნავთობის მარაგზე (რომელიც საფდის არაბეთის მარაგის შემდეგ მეორეა მსოფლიოში) კონტროლის დაწესების აუცილებლობით და, რაც მთავარი და მრავლისმეტყველია, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მთელ მსოფლიოს აჩვენა, რომ არ დაუშვებს მასობრივი მოსახობის იარაღის შექმნას ქვეყნებში, რომელთა რეჟიმები საფრთხეს უქმნიან მსოფლიოს მშვიდობას, თანაურქონენ ეს ეხმარებიან ტერორისტულ ორგანიზაციებს.

როგორც ვხედავთ (დღევანდელ მსოფლიოში), ამერიკის შეერთებული შტატები მკაცრად აფრთხილებს ქვეყნებს, რომ მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების უგულებელყოფის შემთხვევაში მათ ერაყის ბედი მოელით.

რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. კაცობრიობა ახალ რეალიებს უნდა შეეგუოს.

ირაკლი ვაშაძარიძე.

● ორი თავდასხმა ამერიკელ სამხედროებზე
● იოპან ლეპრიჩი 16 წელი ემალებოდა მართლმსაჯულებას
● ირანის გეგმები დიდ შეუფოთებას იწვევს

ერაყში კიდევ ერთი ამერიკელი დაიღუპა

ერაყში ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების ცენტრალური სარდლობა პარასკევს იტყობინებოდა, რომ გასულ დაშეს ამერიკელ ჯარისკაცებს ორჯერ დაესხნენ თავს.

ბაღდადში სნაიპერმა ცეცხლი გაუხსნა ამერიკელთა პატრულს, რის შედეგადაც ერთი ჯარისკაცი დაიღუპა.

ხუთშაბათს ღამით კი ერაყის დედაქალაქიდან ჩრდილოეთით, ქალაქ ბალადის მახლობლად, ნაღმსატყორცნის ცეცხლი დაუშინეს ამერიკელთა ბაბას. სროლის შედეგად დაიჭრა 19 სამხედრო მოსამსახურე.

ცენტრალური სარდლობა იუწყება, რომ ეს წინასწარი მონაცემებია და ამ ორივე ინციდენტის შედეგად დაღუპულთა და დაჭრილთა ზუსტ რიცხვს მოგვიანებით გამოაცხადებენ.

გავრცელდა ინფორმაცია კიდევ ერთი თავდასხმის შესახებ. ამჯერად, როგორც თვითმხილველები აცხადებენ, ორი ამერიკელი ჯარისკაცი დაიჭრა ჯავშანტრანსპორტიორის აფეთქების შედეგად.

ცენტრალური სარდლობა კი კვლავ განაგრძობს დიდმასშტაბიან ოპერაციას ერაყში მეიარაღებული წინააღმდეგობის ჩახშობისთვის. ხუთშაბათს ამერიკელებმა გამოაცხადეს, რომ ერაყის ყოფილი პრეზიდენტის სადამ ჰუსეინის დაჭერისათვის დაწესებულია ჯილდო – 25 მილიონი ამერიკული დოლარი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დააკავეს ეოფილი ნაცისტი

ვინიპანეს შტატში დააკავეს ყოფილი ნაცისტი, რომელიც ამ ბოლო 16 წლის განმავლობაში ემალებოდა ამერიკის მართლმსაჯულებას.

77 წლის იოჰან ლეპრიჩი პოლიციელებმა იპოვეს საიდუმლო სარდაფში, რომელიც დეტროიტის მახლობლად მდებარე მისი სახლის კიბის ქვეშ იყო მოწყობილი.

ლეპრიჩს ამერიკის მოქალაქეობა ჩამოართვეს ჯერ კიდევ 1987 წელს, როცა ცნობილი გახდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში საცხოვრებლად ჩასვლის დროს მან ქვეყნის ხელისუფლებას დაუმალა ის ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომის წლებში იგი მსახურობდა „ესესელთა“ ჯარებში და მუშაობდა მცველად ავსტრიის ტერიტორიაზე მდებარე მაუთჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში.

ყოფილი ნაცისტი არ დაელოდა დეპორტაციას და კანადას შეეფარა თავი, საიდანაც კვლავ დაბრუნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. უახლოეს მომავალში მას ავსტრიაში ან უნგრეთში გაასახლებენ.

ირანის რაკეტას შეუძლია მიაღწიოს ისრაელის ტერიტორიამდე

ირანმა წარმატებით დაასრულა „შიჰაბ-3“ რაკეტის გაშოდგა, რომლის ფრენის სიშორე მას საშუალებას აძლევს მიაღწიოს ისრაელის ტერიტორიამდე. ამ ბოლო სუთი წლის განმავლობაში ირანმა რაკეტის 7-8 საცდელი გაშვება განახორციელა, აქედან ყველაზე წარმატებული გამოდგა გასულ კვირას განხორციელებული ბოლო გაშვება. ყოველივე ეს იწვევს არა შარტო ეამინგტონის, არამედ ისრაელის შეშფოთებასაც.

როგორც ვარაუდობენ, „შიჰაბ-3“ გიპის რაკეტას შეუძლია დაძლიოს 1300 კილომეტრი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ირანს ახლა საშუალება აქვს რაკეტების გასაშვები დანადგარები განალაგოს ქვეყნის ცენტრში და არა მის უკიდურეს დასავლეთ ან აღმოსავლეთ საზღვრებზე.

ირანის სარაკეტო პროგრამის შედეგად წარმოქმნილი საფრთხე გახდება განხილვის მთავარი თემა ისრაელის გენერალური შტაბის მეთაურის შომე იაალონისა და პენტაგონისა და ამერიკის არმიის წარმომადგენლების შეხვედრაზე, რომელიც მომავალ კვირას უნდა გაიმართოს იაალონის ვაშინგტონში ვიმიგის ფარგლებში. ისრაელის გენერალური შტაბების მეთაური ეწვევა სენტკომის ფლოტიდის შტაბს და „შაკიდლის“ სამხედროსაპაერო ბაზას, სადაც განლაგებული არიან სპეციალური დანიშნულების ძალები.

დასავლეთი აქტიურად აგროვებს მონაცემებს ირანის სარაკეტო გამოცდებისა და ამ ქვეყნის სარაკეტო პროგრამის განხორციელების თაობაზე, რომელიც ჩრდილოკორეულ ტექნოლოგიებს ეფუძნება. ჩრდილოკორეული წარმოების ძრავებით აღჭურვილი რაკეტების გამვლა წარმატებით დასრულდა, მაშინ, როცა ირანული ძრავებით აღჭურვილი რაკეტების გამოცდა მუდამ მარცხით მთავრდებოდა. არადა, ირანის თავდაცვის მინისტრი ალი შაჰმანი 2000 წელს იქადნიდა, რომ ირანს შეეძლო დამოუკიდებლად შეემუშავებინა ყველა დეტალი და მას არ სჭირდებოდა ამ საქმეში ისეთი ბირთვული სახელმწიფოების დახმარება, როგორიც არის ჩინეთი ან რუსეთი.

„შიჰაბ-3“ გიპის რაკეტების გამოცდის შესახებ ინფორმაცია ისრაელს აიძულებს გაბარდოს „პეცის“ („ისარი“) გიპის საჰაერო თავდაცვის კომპლექსების რიცხვი, რომლებსაც „ისრაელ ეარკრაფტ ინდასტრის“ საწარმოებში უშვებენ, ახლო მომავალში კი მათ „ხოინის“ ფირმის დახმარებით დაამზადებენ.

ისრაელი, აგრეთვე, გამოთქვამს შეშფოთებას ირანისა და ლიბიის კავშირურთიერთობის განმგეკიცების გამო. ახლა, როცა აღარ არსებობს საფრთხე ერაყის მხრიდან, სწორედ ლიბია აიძულებს ისრაელს იფიქროს „პეცის“ გიპის რაკეტების მესამე ბაგარეს მექმნისათვის. სავარაუდოდ, ეს ბაგარეა სამხედრო ხომალდზე განლაგდება.

დასავლელი ექსპერტების შეფასებით, 16-მეგრი სიგრძის ერთსაფეხურიან „შიჰაბ-3“ გიპის რაკეტას შეუძლია გადაიგანოს ერთ გონამდე ასაფეთქებელი ნივთიერება, მაგრამ იგი დიდი სიზუსტით არ გამოირჩევა. თუმცა, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ გასული წლის განმავლობაში, ირანმა, ალბათ, შეძლო ამ რაკეტის რამდენადმე სრულყოფა. ნებისმიერ შემთხვევაში, „შიჰაბ-3“ რაკეტის მოხვედრის რადიუსში შედის ისრაელი, თურქეთი, ინდოეთის სუბკონტინენტური ზონა და ამერიკელთა ჰიმიციები სპარსეთის ყურეში. ცნობილია ისიც, რომ ირანს დაგეგმილი აქვს განაგრძოს ახალი თაობის „შიჰაბ-4“ და „შიჰაბ-5“ რაკეტების შემუშავება, რომელთა ფრენის რადიუსი შესაბამისად 2000 და 5500 კილომეტრი იქნება.

„შიჰაბის“ გიპის რაკეტების ბოლო გამოცდების დასრულების შემდეგ, ბუშის ადმინისტრაციამ გამოთქვა „სერიოზული შეშფოთება“ ირანის სარაკეტო პროგრამის გამო, რაც, ადმინისტრაციის წარმომადგენელთა აზრით, „უქმნის საფრთხეს როგორც მთელ რეგიონს, ისე ამერიკელთა ინტერესებს“.

გამოიცა

დიდი ცხოვრების ფერხულში

ჩვენი ქვეყნისთვის, მისი სამოგადოებრიობისთვის ბევრ დიდად სასიკეთო საქმეს აკეთებენ ფოთის ნავსადგური და შპს „სოკეანო სანაოსნო კომპანია“. ერთ-ერთ ასეთ დიდებულ საქმედ უნდა მივიჩნიოთ დამოუკიდებელი სამოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ალმანახის „კარიბჭის“ დაფუძნება, რომლის შერვე ნომერი გამომცემლობა „ლაზარმა“ ამ დღეებში მიაწოდა მკითხველებს.

თუ მის წინა ნომრებს არ იცნობთ, ალმანახის ამ ახალი ნომრითაც კარგად მიხვდებით, მისი სარედაქციო კოლეგია ჯეამალ ჩაბავას თავკაცობით რითი ცდილობს მკითხველის ყურადღების მიქცევას, მის დაინტერესებას ისე, რომ ფუხიც აუწყოს დღევანდელობას.

დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა თანამედროვე რუსული ლაპიკური ლიტერატურის გენიალურ წარმომადგენელს, ბრწყინვალე პოეტს, დრამატურგს, ეუმორის ოსტატს და მრავალმხრივ სამოგადოებრივ მოღვაწეს სერგეი მიხალკოვს. ალმანახის ახალი ნომერი სწორედ მისადმი საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მილოცვით იხსნება, ხოლო მკითხველს ამ დიდებულ მწერალს ერთხელ კიდევ წარუდგენს მისივე სახელოვანი ქართველი კოლეგა ხუგა ბერულავა.

მემორიალური ლიტერატურით არცთუ მდიდრები ვართ (მიუხედავად აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალისა“, ანდა დავით კლდიაშვილის მოგონებებისა), ამიგომაც ჩვენთვის დიდი შენაძენია დიდი აკაკის სახელობის პრემიის ლაურეატის ოგიან ოსოელიანის წიგნი „ჩემი ასავალ-დასავალი“, რომლის ერთი მონაკვეთიც აქ გამოქვეყნებული.

ალმანახის ახალ ნომერში დაბეჭდილია ხუგა ბერულავას, მარლოგა კვანტალიანის, ივანე ქართველიშვილის, ჯიბო ჯიმერის, ამრიდონ ჩვიანის, ავთანდილ ივანიძის ლექსები. აქვე გაეცნობით დავით გაჩეჩილაძის პოეტური მემკვიდრეობის ნიმუშებსაც.

ალმანახი აგრძელებს სოლომონ დეკურხანაშვილის ისტორიული რომანის „გიორგი ბრწყინვალეს“ ბეჭდვას.

თუ რაგომ არის ილია ჭავჭავაძე დიადი და ასეთი აქტუალური დღევანდელ საქართველოში, რაგომ ასრულებს იგი დიდ როლს მომავალი, თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს დამკვიდრებაში, მკითხველი კარგად გაიგებს გურამ ყორანაშვილის სგაგიდან „სიდიადე“.

75 წელი მუსრულდებოდა ცნობილ მწერალს, პუბლიციასტსა და ჟურნალისტს ზურაბ ნაყოფიას. მის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ცალკა მესხიას წერილი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნოდარ გაბიეე კი ფოთელი ბარონ მიუნჰაუზენის – ილიკო კორძახიას თავგადასავალზე იასონ დოლბაიას ნაწარმოებს გვაცნობს.

ბუნებრივია, ზღვისპირა ქალაქში დაფუძნებული ალმანახი უყურადღებოდ ვერ დაგოვებდა ქართული ზღვაოსნობის ისტორიას, სწორედ ამ პრობლემას ეძღვნება პროფესორ თამაზ ბერაძის ნაშრომი „ზღვაოსნობა და საზღვაო ვაჭრობა ძველ საქართველოში“, რომლის ბეჭდვა ამ ნომერშიც გრძელდება.

მკითხველი, უეჭველია, დიდი ინტერესით გაეცნობა XIX საუკუნის ქართული ეკლესიის წინამძღვრის, სათნოებისა და სიყვარულის მქადაგებლის ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძისადმი მიძღვნილ ნაშრომს „აპა, გზანი დიდების მოვნისანი“, რომლის ავტორია თინათინ კობალაძე.

არცთუ დიდი ხანია, რაც ალესრულა მეუფე იონა, საერო ცხოვრებაში – მურთაზ ჩახავა – კაცი, რომელმაც ისე ილვაწა, ვითარცა სწამდა. გივი ბოჯგუას წერილს წაკითხვამდე, ალბათ, ბევრმა არც კი იცოდა, რომ საქართველოს ძველმართლმადიდებელური კონფესიის მამამთავარი ახალგაზრდობაში დიდებული მოცეკვავე იყო (ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ანსამბლთან ერთად შემოიარა მთელი მსოფლიო), და დიდებული მწერალიც, რომლის ნაწარმოებების მთავარი თემა კეთილისა და ბოროგის გრადიციული ბრძოლაა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მისი სამბავშო ნაწარმოებები, რომელთაგანაც „ფაფუნა ფუტკარს“ ალმანახი ერთხელ კიდევ სთავაზობს ნორჩ მკითხველებს.

ვფიქრობთ, მკითხველთა ფართო წრე კვლავაც იმედიანად დაელოდება ალმანახის ყოველ ახალ ნომერს.

ვალიკო სიმონიშვილი.

მზის სისტემას ტყუპისცალი გამოუჩნდა

ასტრონომებმა აღმოაჩინეს ჩვენი მზის სისტემის იდენტური სისტემა, რომელშიც იუპიტერის მსგავსი პლანეტა ბრუნავს მზის მსგავსი ვარსკვლავის ირგვლივ დაახლოებით იმავე ორბიტით, რომლითაც მზის ირგვლივ ბრუნავს თვით იუპიტერი.

ავსტრალიაში მდებარე ტელესკოპის მეშვეობით გაკეთებული ამ აღმოჩენის შესახებ გამოაცხადეს საფრანგეთში გამართულ პრესკონფერენციაზე.

სადღეისოდ ცნობილი ასობით მზის სისტემიდან იგი ყველაზე მეგად წააგავს ჩვენსას, მასში აღმოჩენილი პლანეტის მახასიათებელები კი ძალზე მოგვაგონებს იუპიტერის მახასიათებლებს. აღმოჩენილ სისტემაში ვარსკვლავი არასაკმარისად კაშკაშა სიმისოდ, რომ მისი დანახვა შეიძლებოდეს შეუიარაღებელი თვალით, მაგრამ ბინოკლით იგი კარგად მოჩანს სამხრეთის ცაში. ახალი პლანეტა დედამიწიდან 95 სინათლის წელიწადის მანძილზე მდებარეობს.

მეცნიერებმა წინათ უკვე აღმოაჩინეს პლანეტები, რომლებიც თავიანთი ნიშან-თვისებებით წაგგავდნენ იუპიგერს და ბრუნავდნენ სხვა ვარსკვლავების ირგვლივ. სადღეისოდ ცნობილ ყველა მზის სისტემაში არიან იუპიტერის მსგავსი გაზის გიგანტები.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს სისტემა შეიძლება კიდევ შეიცავდეს რამდენიმე პლანეტას, მათ შორის დედამიწის მსგავს პატარა-პატარა ქვიან პლანეტებს, რომლებიც შეიძლება ბრუნავდნენ ან „HD 70642“ სახელით მონათლული ვარსკვლავის, ან იუპიტერის მსგავსი პლანეტის გარშემო.

ამ ბოლო პლანეტის აღმოჩენა, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალზე წააგავს იუპიგერს, მეცნიერებს უსახავს იმედს, რომ ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით, ისინი შეძლებენ დედამიწის „ძმების“ ან „დების“ აღმოჩენასაც და ეცდებიან იპოვონ მათზე სიცოცხლის დამადასტურებელი ნიშნები.

პოლონეთს ერაყის ნავთობი სურს

პოლონეთმა, რომელმაც გაგზავნა ჯარები ერაყში კოალიციის ძალების დასახმარებლად, აღიარა, რომ ამის მიზანი იყო ერთი რამ: პოლონეთს სურს მიუწვდომდეს ხელი ერაყის ნავთობის მარაგზე.

როგორც პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვლოდიმეჟ ჩიმოშევიჩმა აღნიშნა, მის ქვეყანას არასდროს დაუმალავს ის ფაქტი, რომ ცდილობს მიიღოს გარკვეული სარგებელი ერაყის ნავთობის საბადოებიდან. მინისტრი გამოვიდა პოლონეთის იმ ფირმის წარმომადგენელთა ჯგუფის წინაშე, რომელმაც ხელი მოაწერა გარიგებას „Hallibuzion“ კომპანიის შვილეულ ფირმასთან. ამ კომპანიაში თავის დრომე ერთ-ერთი ხელმძღვანელი პოსტი ეკავა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ ვიცეპრეზიდენტს დიკ ჩეინის.

ამერიკის „Kellogg Brown and Root“ კომპანიამ უკვე მოიპოვა ერაყში აღდგენითი სამუშაოების განხორციელების ბრაგალმილიონიანი კონტრაქტი. „ჩვენ მუდამ ვაცხადებთ, რომ გვსურს მიგვიწვდოდეს ხელი ნედლეულის წყაროებზე. ეს ჩვენი უმთავრესი ამოცანაა“, – განუცხადა ჟურნალისტებს ჩიმოშევიჩმა პოლონეთის საინფორმაციო სააგენტოს.

პოლონეთის ძალები გაკონტროლებენ ერთ-ერთ ომისშემდგომ ადგილს ერაყში – ალბანეთ-ალ-ალიას, ეინაიდან ჯარები ერაყში კოალიციის ძალების დასახმარებლად, აღიარა, რომ ამის მიზანი იყო ერთი რამ: პოლონეთს სურს მიუწვდომდეს ხელი ერაყის ნავთობის მარაგზე.

ახლა კი 250-მდე პოლონელი ჯარისკაცი ჩავიდა ქუვეითში, სადაც იწყება მოსამზადებელი სამუშაოები ერაყის ცენტრალურ ნაწილში მრავალეროვნული სამშვიდობო ძალების შექმნისათვის. სექტემბრის დამდეგისათვის, როცა ეს ძალები მთლიანად იქნება ჩამოყალიბებული, პოლონელთა სარდლობას დაექვემდებარება 15 ქვეყნის 9000-მე მეგი ჯარისკაცი, რომელთაგან 2300 პოლონელი იქნება. პოლონური სექტორი განლაგდება ამერიკულ და ბრიგანულ სექტორებს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ პოლონეთი პირველად ჩაუდგება სათავეში ასეთ დიდ სამშვიდობო ძალებს.

მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტთან არსებული მრავალდარგოვანი კოლეჯი „იმედი“ აცხადებს მიღებას

2003/2004 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. უცხო ენები დაწყებითი კლასებში;
2. სოციალური უზრუნველყოფის სამართალი და ორგანიზაცია;
3. რეჟისორის ასისტენტი;
4. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება (ქსოვა, ფარდაგი, გობელენი, ჯეჯიმი, პაჭიჭი, თიქა, ეოთელვა, ბატიკა, ხის მხატვრული დამუშავება, ჭედური და საოქროჭედლო ხელოვნება, ოქროსკედი ქარგვა, დიზაინი, მოდელიორი);
5. ბეჭდვითი წარმოება;
6. ოფისის რეფერენტი;
7. საგადასახადო საქმე;
8. საბანკო საქმე;
9. საბუღალტრო აღრიცხვა.

კოლეჯში მიიღებიან 9 კლასდამთავრებულები. სწავლის ხანგრძლივობაა 2 წელი და 9 თვე. დამთავრებისას გაიცემა საშუალო სკოლის ატესტატი და კოლეჯის დიპლომი. კოლეჯის სასწავლო პროგრამები აგებულია **ინტეგრირებული** სწავლების მეთოდებზე.

ლიტერატურისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტების მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლების წყალობით სტუდენტები მიიღებენ საფუძვლიან პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნას. კურსდამთავრებულებს შეუძლიათ სწავლა გაგრძელონ საქართველოს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტში შესაბამისი სპეციალობის II კურსზე.

კოლეჯში სწავლის ღირებულებაა 200 $ ეკვივალენტი ლარებში.

განცხადებები მიიღება **15 ივნისიდან 28 აგვისტომდე** მისამართზე: **მ. კოსტავას ქ. 14, IV სართული, ოთახი 19, ტელ: 93-35-99; 93-26-99; 22-37-36.**

Sფაშსჩიფ ქწჩვუიფ ბფოფგიკუიშო ოფგაქმუიქუ შტკუშმუგფფდგ–ქფვეფ ოცფშდფ ეფშცნუიფ I ოუდეუქოუკო ქმოფქფკქუშაფდოშფ(I)შუ–დში ღყ №87ყ

ბაბუ ბეჭანიძეს.

რა ეარ ხდება...

„პამასშა“ უნდა გადაიხადოს 116 მილიონი დოლარი ორი ებრაელი მოსახლის მოკვლისათვის. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო პარასკევს ამერიკის შეერთებული შტატების უფდერალურმა სასამართლომ. ამერიკის მოქალაქე იაარონ უნგარი და მისი ცოლი – ისრაელის მკვიდრი – „პამასის“ მოთარეშეებმა მოკლეს 1996 წლის ივნისში. 2000 წელს ადვოკატმა დევიდ სტრაპშანმა აღძრა სარჩელი ტერორისტების წინააღმდეგ დაღუპულთა ოჯახისათვის მატერიალური კომპენსაციის გადახდის მოთხოვნით.

* * *

ბრიტანელმა კონსერვატორებმა ტონი ბეგერი დაადანაშაულეს სიცრუეში „ერაყის დოსიეთან“ დაკავშირებით. სწორედ ამ დოკუმენტის საფუძველზე მიიღეს გადაწყვეტილება ომის თაობაზე, რომ ბრიგანეთი უნდა შეერთებოდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ ამერიკელთა მიერ წამოწყებულ ოპერაციას. პრემიერ-მინისტრს პარლამენტართა განშრახ მოგეუებაში ადანაშაულებენ.

* * *

ამერიკის ოპაოის შტატის ქალაქ ფორეტის ეკლესიას დაეცა შეხი. გაბარში გაჩნდა ხანძარი. ამის მიუხედავად, მლვდელი, რომელიც სასწაულით გადარჩა სიკვდილს, კიდევ ოცი წუთის განმავლობაში განაგრძობდა ლოცვას.

* * *

იაპონიის აგომურ სადგურში აფეთქება მოხდა. თვითმხილველთა თქმით, ავარიის ადგილზე ეანსა მძლავრი აფეთქების ხმა, რის შემდეგაც გაჩნდა ხანძარი. აგომური ელექტროსადგური მლებარეობს ფუკუეს პრეფექტურაში, ტოკიოდან დაახლოებით 250 კილომეტრზე.

* * *

ამერიკელები დამოუკიდებლობის დღეს ზეიმობენ, მაგრამ, მაინც ელიან ტერორისტულ აქტებს. ტერორისტთა მხრიდან საფრთხის აღმოფხვრის მიზნით, გაძლიერებული დაცვა დაუწესეს ქვეყნის ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტს. ასი ათასობით ამერიკელი პოლიციელი გაძლიერებული რეჟიმით მუშაობს. პოლიციელები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ უნიშნოებს დაცვას ქალაქ ნიუ-იორკსა და გეხასის შტატში.

* * *

უნიფორმა პირს მანქანით შეეცადა დაჯახებოდა იაპონიის იმპერატორის ლიმუზინს. ინციდენტი მოხდა იაპონიის პოკაიდოს კუნძულზე. 69 წლის მონარქი და მისი მეუღლე არ დაშავებულან. ბოროტგანმზრახველი ირწმუნებოდა, რომ მას, უბრალოდ, სურდა იმპერატორთან შეხვედრა.

უცხოეთის საგაზეთოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
ზაზა ბეჭანიძემ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ ზაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

კანონმდებლობა

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ ოცი წელიწადია, რაც მოქმედებს კოდექსი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ. ამ ხნის განმავლობაში კი მასში იმდენი შესწორება შევიდა, რომ მოცულობით ძირითად გექსტს გადააჭარბა კიდეც. ამასთანავე იგი არა თუ მოძველდა, არამედ ადარც შეესაბამება ჩვენს კონსტიტუციას, არ უპასუხებს დღევანდელობას. ზოგიერთებს ასეთი კოდექსი იქნებ ხელსაც აძლევდეს, არც არის გასაკვირი: ძველი კანონმდებლობა ხომ დღეს კორუფციისა და უკანონობის ფართო შესაძლებლობას იძლევა? ამიგომაც მაშინ, როცა საყოველთაო განუკითხაობა და ნიჰილიზმი მეფობს, როცა თანამდებობის პირები თუ მოქალაქეები არ ემორჩილებიან კანონს ადმინისტრაციული გადაცდომის შესახებ, ამ დარგში სრულყოფილი კოდექსის შიდება ამ განუკითხაობის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას ნიშნავს. სწორედ ამას ისახავს მიზნად ახალი კოდექსის შემუშავებული პროექტი: ადმინისტრაციული გადაცდომისა და მის საქმეთა წარმოების შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ 1999 წელს გადაეცა საქართველოს პარლამენტს განსახილველად და მისაღებად, მაგრამ ზოგადი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ-საპროცესო კოდექსების მიდებამ განაპირობა ამ პროექტის შეყვანა და კოდექსის ახალი ვარიანტის შემუშავება.

მაშ ასე, კანონპროექტის სახელწოდებაა: საქართველოს კოდექსი „ადმინისტრაციული გადაცდომისა და მის საქმეთა წარმოების შესახებ". რას გულისხმობს ეს დასახელება და, საერთოდ, რა სიახლეებია მასში?

ევროპაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტის შემმუშავებელი კომისიის წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი **ᲞᲐᲨᲐ ᲓᲚᲝᲜᲘᲡ**.



— ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ გადაცდომა დღეს არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას თუნდაც განმეორებით ჩაადინოს იგი ვინმემ, ერთადერთი შემთხვევა ნარკოტიკული ნივთიერებების მცირე ოდენობით განმეორებით გამოყენებისას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგომა (რაც მომავალში უნდა გაუქმდეს). ამიგომ ასეთი სახელწოდება ორი სისხლის სამართლის კოდექსის იმიტაციას არ ქმნის (საბჭოთა ხელიკეთილი ინიციატივა). ეს ნიშნავს, რომ ეს ორი კოდექსი ერთმანეთს ეფარება, ერთმანეთს ავსებს, ერთმანეთს ავსებენ. ეს ორი კოდექსი ერთ-ერთ ფუძეს ეფუძნება, ეს ფუძე — ადამიანი, ადამიანის ინტერესები, ადამიანის ინტერესებზე ზრუნვა, ადამიანის ინტერესებზე ზრუნვა, ადამიანის ინტერესებზე ზრუნვა.

— ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ კეთილი ნაწილი მოცემულია მეორე წიგნში, სადაც ბოლო მესამე წიგნი, როგორც ვიცი, შეიცავს კომპეტენტური ორგანოებისა და გადაცდომის საქმისწარმოების საკითხებს. თუ

ᲙᲝᲜᲤᲘᲡᲙᲐᲪᲘᲐ ᲐᲠᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲣᲠᲘᲐ

ᲠᲐ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲑᲘᲐ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ

სუფლების დროს ასეთი იმიგაცია არსებობდა, რის გამოც ადმინისტრაციული გადაცდომის კოდექსს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსი ეწოდა). კოდექსის პროექტი შეეხება ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეთა წარმოებასაც, რაც კოდექსის სახელწოდებამაც ისახა. ადმინისტრაციული გადაცდომის საქმისწარმოების ცალკე საკანონმდებლო აქტში მოწესრიგება დღეს ვერ ხერხდება იმის გამო, რომ მრავალრიცხოვანი ორგანოები და თანამდებობის პირები ვერ ფლობენ სრულყოფილ იურიდიულ ჩვევებსა და უნარს, რის გამოც მათი ქვემდებარე გადაცდომების პარალელურად კოდექსის პროექტში მოცემულია ამ საქმეთა განხილვის წესი, ეს კი აადვილებს მათ მუშაობას. ადმინისტრაციული სასამართლოების შექმნის შემთხვევაში ასეთი აუცილებლობაც მოიხსნება. ოგივე მიზეზები განაპირობებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ცალკე კანონმდებლობით მოწესრიგებასა და სისხლის სამართლის კოდექსში მცირე დანაშაულობათა სახით მისი შეგანის დაუშვებლობას.

— ბაგონო ვალერი, ადმინისტრაციული სახდელებიდან, რამდენადაც ვიცი, პროექტში შემორჩა მხოლოდ გაფრთხილება, ჯარიმა, ავგოტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევა, ადმინისტრაციული პატიმრობა.

— ამ სახდელებს დაემატა მიყენებული მიანის ათმაგად ანაზღაურება, ხოლო დამატებით სახდელად — უცხოელის გაძევება საქართველოს ფარგლებიდან.

— მაგრამ ამოდებულია ისეთი სახდელები, როგორიცაა: კონფისკაცია, რეკვიზიცია, გამასწორებელი სამუშაოები, ნადირობის უფლების ჩამორთმევა. რა საფუძვლით?

— ეს სახდელები ანგიკონსტიტუციურია და ისინი არ შეიძლება მოქმედებდნენ საქართველოში.

— ვის ეხება ადმინისტრაციული ჯარიმა?

— იგი გათვალისწინებულია როგორც მოქალაქეების, ისე თანამდებობის პირებისა და ორგანიზაციების მიმართ. ფიზიკური პირების მიმართ ჯარიმა არ აღემატება 200 ლარს, იურიდიული პირების მიმართ კი იგი შეიძლება იყოს 750 ლარი და უფრო მეტი, მაგრამ არაუმეტეს 10 ათასი ლარისა, ორგანიზაციაა პასუხს აგებს თავისი თანამდებობის პირის მოქმედებისთვისაც.

— ვთქვათ ჯარიმის ამოდება შეუძლებელი გახდა, მაშინ?

— ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია მისი შეცვლა ადმინისტრაციული პატიმრობით, ხოლო ეს-საც ეს უკანასკნელი არ შეიძლება შეეფარდოს — გაფრთხილებით.

— ბაგონო ვალერი, კოდექსის შეიძლება მოკლე კომენტარი პროექტის ამ ნაწილზე?

— კერძო ნაწილი, ანუ მეორე წიგნი მთლიანად ეძღვნება ცალკეულ ადმინისტრაციულ გადაცდომებსა და მესაბამის სახდელებს მათი ჩადენისათვის. იგი იწყება პიროვნების თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული ადმინისტრაციული გადაცდომებით. მას მოსდევს საკუთრების ხელმყოფი ადმინისტრაციული გადაცდომები. დიდი ადგილი აქვს დათმობილი ადმინისტრაციულ გადაცდომებს შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში. პროექტის მე-8 თავი ეთმობა ადმინისტრაციულ გადაცდომებს მოქალაქეთა სანინაო უფლებების, სანინაო-კომუნალური მეურნეობისა და მშენებლობის დარგებში, და ა. შ. ყველის ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგალითად, მე-15 თავი ეხება ადმინისტრაციულ გადაცდომებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ვაჭრობის, ანგიმონოპოლიური საქმიანობის, ფინანსებისა და რეკლამის დარგებში.

— კეთილი, მაგრამ ვიცით, რომ პროექტში ვერ ბისახა ისეთი სამართალდარღვევები, რომლებიც ადმინისტრაციული გადაცდომის სფეროს არ განეკუთვნება, მაგრამ ეფელ კოდექსში იყო. მაგალითად: შშობლების შშრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვების შესახებ სათანადო ორგანოებისათვის შეუყოფინებლობა, პროდუქციის რეალიზაციის, საშუშაოებისა და მოშსახურების გაწევის შეჩერების თობაზე მიწერილობის მოთხოვნების დარღვევა და სხვა.

— მართალი ბრძანდებით, პროექტის ეს ნაწილი არაერთხელ ყოფილა მსჯელობის საგანი საქართველოს სხვადასხვა უწყების მიერ, როგორც იუსტიციის სამინისტროში გამართულ მეხეედრებზე, ისე სპეციალურ კონფერენციებსა თუ სიმპოზიუმებზე. ჩვენ შევეცადეთ მაქსიმალურად გაგვეთვალისწინებინა მათი მოთხოვნები, მაგრამ ყველა ისეთ შემთხვევაში, როცა ქმედება სცილდება საზოგადოებრივი წესრიგის ფარგლებს და წმინდა მიდასაშსახურებრივ სფეროს შეეხება, ჩვენ უარი ვთქვით მის კვალიფიკაციაზე ადმინისტრაციულ გადაცდომად. ან კიდევ, როცა ესა თუ ის ქმედება ადამიანის მიზანშეწონილობის სფეროს განეკუთვნება და მისი უფლებების ფარგლებში თავსდება, ჩვენ უარი ვთქვით შემოღებულიყო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. მაგალითად, სიცოცხლის, თუ ქონების დაზღვევა ადამიანის პირად სურვილზეა დამოკიდებული, ამიგომ საგალდებულო დაზღვევისაგან თავის არიდებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა გავაუქმეთ.

პროექტის მესამე წიგნი კი მოიცავს საკითხებს, რომლებიც შეეხება ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეების განსახილველად უფლებამოსილ ორგანოებსა და ამ საქმეთა წარმოების წესს.

— ე. ი. ეს წიგნი აერთიანებს ორ სფეროს: იმ ორგანოებისა და თანამდებობის პირთა კომპეტენციას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სფეროში, რომლებიც სარგებლობენ ასეთი პასუხისმგებლობის დაკისრების უფლებით და, მეორე სფეროს ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეთა წარმოების საკითხებზე. რამ განაპირობა ამ ორი სფეროს გაერთიანება ერთ წიგნში?

— იმან, რომ ცალკეული ორგანოები და თანამდებობის პირები ამ ნაწილში იპოვიან არა მხოლოდ თავიანთი კომპეტენციის, არამედ ამ კომპეტენციის რეალიზაციის გზებსა და საშუალებებს, ადამიანის უფლებების დაცვის ფორმებს ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეთა წარმოებისას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთოდ მართლწესრიგის განმაკიცების საქმეში.

კოდექსის პროექტის ამ ნაწილში გაუქმებულია იმ ორგანოთა წრე, რომლებიც უმნიშვნელო უფლებებით სარგებლობდნენ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამოყენების სფეროში: არქეტიპურულ-სამმენებლო მედამხედველობის ორგანოები (მათი უფლებამოსილება გადაეცა ადგილობრივ ხელისუფლებათა ადმინისტრაციულ ჯარიმები ელექტროენერგიკის დარგის ლიცენზიანტის ან ბუნებრივი გაზის მიწოდების გრანსპორტირების ან განაწილების ლიცენზიანტის ან მომხმარებლის მიერ ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მოთხოვნათა შეუსრულებლობის გამო, — გადაეცა სახელმწიფო გეენიკური მეფამხედველობის ორგანოებს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორგანოების კომპეტენციია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სფეროში გადაეცა სასამართლო ორგანოებს, ასევე გარემოს დაცვის ორგანოების კომპეტენციია დაეჯარიმებინათ მოქალაქეები და ორგანიზაციები, შესაბამისი დარღვევებისათვის გადაეცა სასამართლო ორგანოებს.

— უფლებამოსილების ასეთი გადაცემა ხომ არ გულისხმობს ჩამოთვლილი ორგანოების ვალდებულებების გაუქმებას, ებრძოლონ შესაბამის ადმინისტრაციულ გადაცდომებს?

— მათ კვლავ დარჩათ უფლება და მოვალეობა გამოავლინონ შესაბამისი ადმინისტრაციული გადაცდომები, შეადგინონ ოქმები ამის შესახებ და გადასცენ განსახილველად მესაბამის კომპეტენტურ ორგანოს. ამ გზით ვცდილობთ, ბატონო, შევამციროთ იმ ორგანოთა და თანამდებობის პირთა წრე, რომლებიც სარგებლობენ უფლებით: გამოიყენონ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მოქალაქეებისა და ორგანიზაციების მიმართ. ამ პრობლემისა და ბევრი სხვა პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება იქნება საქართველოში ადმინისტრაციული სასამართლოების შექმნა, რაც ფერხდება ჩვენი კანონმდებლობის მეზღუდულობის გამო.

ადამიანის დემოკრატიული უფლებების დაცვის დიდი გარანტიებია მოცემული პროექტის საპროცესო ნაწილში.

კოდექსის პროექტში დეტალურადაა მოწესრიგებული ადმინისტრაციული გადაცდომის ოქმის შედგენის, მისი გაფორმებისა და განხილვის თავისებურებები, ეს იმიგომ, რომ როგორც ბატონი ვალერი ამბობს, რამდენადაც ერთადერთი ძირითადი დოკუმენტი, რომლითაც პირი მიეცემა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში, სწორედ ადმინისტრაციული გადაცდომის ოქმია. ამიგომაც გათვალისწინებულია წესი, რომლითაც თუ პირი უარს აცხადებს ადგილზე დაჯარიმებაზე, სავალდებულო წესით უნდა შედგეს ოქმი დამსწრეების დამოწმებით, ხოლო, თუ გადაცდომა ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პატიმრობას, ოქმი, ყველა შემთხვევაში, უნდა გადაეგზავნოს სასამართლოს განსახილველად.

ესაუბრა
ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ.

ბიზნესი

„ლომჭაბუკს" უსამართლოდ ავიწროებენ

სახალხო დიპლომატია ყველა დროსა და ნებისმიერ კონფლიქტურ სიტუაციაში იყო მდგომარეობის სტაბილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამიტომ არა გვგონია, რომ ის ხალხი, ვინც ასეთ კეთილშობილურ მისიას ასრულებს, მადლობის ღირსი მაინც არ იყოს. ალარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ასეთ ადამიანებს ყოველნაირად უნდა უწყობდეს ხელს ხელისუფლება, მაგრამ... როგორც ჩანს, გორში სხვაგვარად ფიქრობენ. თუ რა გვაძლევს ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს, ამის შესახებ ქვემოთ გიამბობთ.

ᲘᲜᲓᲘᲤᲬᲐᲠᲛᲘ „ლომჭაბუკი" 1996 წელს დაარსდა და სგატუსით მგზავრთა გადაყვანის ორგანიზების უფლება აქვს მინიჭებული. საბოგადოებას, რომლის თავკაცია გორში ცნობილი პიროვნება თამაზ ნაფიმვილი, მგზავრები გადაპყავს გორის რაიონის რამდენიმე სოფელში, აგრეთვე, ცხინვალსა და თბილისში. აღსანიშნავია, რომ მგზავრთა გადაყვანა და აქედან მიღებული სახსრები თამაზ ნაფიმვილს თავის დროზე დასჭირდა გორის ცენტრში ლომშე ამხედრებული ჭაბუკის ცნობილი ქანდაკების უკან მდებარე, ადრე შს „საქინფორმისთვის" გამოყოფილი საკორესპონდენტო პუნქტის შენობის შესანახად, რომელშიც თამაზ ნაფიმვილის დაუღალავი შრომის შედეგად არაერთი მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიება გამართულა. სანამ ამ შენობის მოვლა-პატრონობა ბატონმა ნაფიმვილმა არ ითავა, იგი ლამის ბოსლად იყო გადაქცეული. მგზავრთა გადაყვანაც, უმთავრესად, იმისთვის გახდა საჭირო, რომ მიღებული შემოსავლით ამ ქანდაკების ირგვლივ ტერიტორიის მოვლა-პატრონობა ყოფილიყო შესაძლებელი. თანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახალხო დიპლომატიის მძლავრი ბერკეტიც ამოქმედდა. ამდენად, ფირმის საქმე კარგად მიდიოდა ბოლო დრომდე, ვიდრე თამაზ ნაფიმვილის მიერ წამოწყებული ბიზნესის ვიღაც-ვიღაცეებმა თვალი არ დაადგეს.

ამგვამად გორში რამდენიმე ფირმაა, რომლებსაც მგზავრები გადაპყავთ. ორი მათგანის — მეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების ავგოსადგომები ამ ქანდაკების მორიახლოს მდებარეობენ, მაგრამ მისგან განსხვავებით, ქუჩაში დგანან და ყველაფერს ხელს უშლიან — ტროლეიბუსისა და ავგომანქანების, აგრეთვე, ფეხით მოსიარულთა მოძრაობას. შს „ლომჭაბუკს" თავისი გერიგორია შემოღობილი აქვს, უსაფრთხოებაც დაცულია და არც არავის უშლის ხელს. ჰოდა, როგორც ჩანს, „ლომჭაბუკს" თვალი დაადგეს და მისი ადგილის დაკავებაც მოიწადინეს. შს „სამგზავრო", თამაზ ნაფიმვილის ინფორმაციით, გორის რაიონის გამგეობის მიერაა შექმნილი. ერთ-ერთი პირველი, რაც ამ სამგზავრობამ გააკეთა, ის არის, რომ „ლომჭაბუკის" ცხინვალის მარმრუტის პარალელური რეისები დანიშნა გორი-ერგნეთის მიმართულებით.

თამაზ ნაფიმვილის თქმით, მიდა ქართლში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გია ჯოხაძე შს „მესაჭეს" ლობირებს და ახლა შს „ლომჭაბუკს" ეკონომიკური მეთოდებით ებრძვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ლომჭაბუკი" საკმაოდ წარმატებით ფუნქციონირებდა და ოსურ მხარესთან საკმაოდ კარგი ურთიერთობაც ქქონდა, მაგრამ... ახლა მისი შს „მესაჭეთ" ჩანაცვლების პროცესი მიმდინარეობს. საქმე ის არის, რომ 1 მაისიდან „ლომჭაბუკი" მხოლოდ გორის რამდენიმე სოფელს ემსახურება, ვინაიდან ცხინვალის გზა შს „მესაჭემ" „ჩაუჭრა". მარმარნ ნოემბერში გამართულ ტენდერში, „ლომჭაბუკს" მონაწილეობის მიღების უფლებაც კი არ მისცეს და ეს საკმაოდ მარგივი ხერხით მოახერხეს — მისი საბუთები უბრალოდ განსახილველადაც არ მიიღეს. როგორც საქინფორმის კორესპონდენტმა პუნქტის გამგეა მიდა ქართლში და საკუთარი თანამშრომლის დაცვა მიმანშეწონილი არ არისო; მაგრამ, სწორედ რომ, ობიექტურად და მიზანმიმართულად განვიხილეთ მისი მსარდაჭერა. უწინარეს ყოვლისა, იმიგომ, რომ მიგვაჩნია, ის მართალია და მიუგეევლად ავიწროებენ. მეორეც, საკუთარი ბიზნესის გარკვეულ ნაწილს იგი მიდა ქართლის მონაში საქინფორმის კორესპონდენტების საქმიანობის მატერიალურ უზრუნველყოფას მოახმარს, რაც ჩვენი რედაქციის მწერი ბიუჯეტის პირობებში ასე აუცილებელია საინფორმაციო საგენტოს ნორმალური მუშაობისათვის.

ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ,
საქინფორმის კორ.

ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ

2003/2004 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

- ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐ (ᲞᲠᲔᲡᲐ, ᲠᲐᲓᲘᲝ-ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ)
- ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲔᲥᲘᲡᲘᲠᲝ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ
- ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ
- ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲝᲚᲝ�გᲘᲐ-ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲝᲚᲝ�გᲘᲐ
- ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲛᲪᲝᲚᲜᲔᲝᲑᲐ
- ᲔᲜᲐ, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐ
- ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ
- ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲚᲝ�გᲘᲐ
- ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ

სასწავლო პროგრამები აგებულია ინტეგრირებული სწავლების მეთოდებზე, ინსტიტუტში დანერგილია შემოქმედებითი სახელოსნოს მუშაობის პრინციპები. გაბეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია, ლიტერატურისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტები, სხვადასხვა ტელეკომპანიები გამოყენებული იქნება ბაბად სწავლისა და პრაქტიკების პროცესში. წარჩინებულ სტუდენტებს დაენიშნებათ სტიპენდიები.

ინსტიტუტის სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოს ხელმძღვანელობს ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი **გურამ ბენაშვილი.**

ჟურნალისტიკის სასწავლო-შემოქმედებითი სახელოსნოს ხელმძღვანელია გაბეთ **„საქართველოს რესპუბლიკის"** მთავარი რედაქტორი, პროფესორი **არმაზ სანებლიძე.**

ინსტიტუტში სწავლება ორსაფეხურიანია. ოთხწლიანი **ბაკალავრიატი** და ერთწლიანი **მაგისტრატურა.**

ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს უპირატესობა ექნებათ ლიტერატურისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტების ასპირანტურაში ჩაბარებისას.

მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტს აქვს უფასო **მოსამზადებელი განყოფილება, მრავალდარგოვანი კოლეჯი „იმედი", ფილიალები ოზურგეთსა და სამგრედიაში.**

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ ᲡᲬᲐᲚᲘᲡ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲐ 300 ᲚᲘᲚᲐᲠᲘᲡ ᲔᲥᲕᲘᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘ ᲚᲐᲠᲔᲑᲨᲘ.

- სწავლის გადასახადზე შეღავათები ვრცელდება:
- მარჩენალდაკარგულებზე
- მრავალშვილიანი ოჯახის წევრებზე
- დროებით გადაადგილებულებზე

განცხადებები მიიღება გაბეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციაში 1 ივნისიდან 20 ივლისამდე მისამართზე:

მ. კოსტავას ქ. 14, IV სართული, ოთახი 19.
ტელ: 93-35-99; 93-26-99; 38-94-33.

თაობა მოდის

ახალგაზრდული სპექტაკლები, კონცერტები, ლექსები...

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თაოსნობითა და ორგანიზატორობით აკაკი ხორავას სახელობის შსახიობის სახლში ახალგაზრდა ხელოვანთა შემოქმედებითი საღამოები გაიმართება. თეატრალური სცენა დღეთმობათ უკვე კარგად ნაცნობ მწერალთა თუ დრამატურგთა ხორცშესხმულ პიესებს, რომელთა გაცოცხლებულ გმირებს მაყურებელი მოუთმენლად ელოდება.

5 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ 20 ᲘᲕᲚᲘᲡᲐᲛᲓᲔ მხაგრული სინამდვილის შემეცნების ბრსი, თეატრალური ხელოვნებით წარმოდგენილი იქნება რუსთავის, მარნეულის, თელავისა და სოხუმის დრამატული თეატრების რეპერტუარიდან და თანმიმდევრულად გათამამდება მ. მროველის „ემიგრანტები", ჰ. პინტერის „წასვლამდე"... აგრეთვე, თეატრალური სარდაფის, თბილისის მუნიციპალური „მეტეხის" თეატრის, თეატრალური სკოლა-სტუდია „ბერიკების", ახმეტელის სახელობის თეატრის... გამორჩეული რეჟისურით, განსხვავებული ხედვითა და გათანამედროვებული ინტერპრეტაციით წარმოჩინდება ფ. დოსტოევსკის „იდიოტი", გ. ერისთავის „გაყრა", უ. როტფუსის „ეერტრუდე", აკურგეგავის მოგითვებზე „უსიერ ტყეში", დ. ტურმანიძის „ბონომანია"...

რადგანაც თეატრალური ხელოვნება, თავისი არსით, ადამიანთა ურთიერთობის სამუალებას მოიცავს, ბუნებრივია, დრამატურგიულ ქმნილებათა გვერდით, 15-16-17 ივლისს გაცხადდება ირაკლი ნადარაიას, ნიკო გომელაურისა და ხათუნა წულაძის პოეზია...

პოეზიას შემდეგ მხაგვარ ნათია ასათიანის ექსპოზიციაც შეემატება, ხოლო გალა-კონცერტებს გამართავენ ქუთაისის მელიგონ ბალანჩივაძის სახელობის საოპერო თეატრის სოლისტები, ვასო აბამიძის სახელობის მუსიკალური თეატრის მსახიობები და მოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი და სტუდენტები.

ასე რომ, ეს ჭეშმარიგად ახალგაზრდა შემოქმედთა ზეიმი იქნება!..

ᲛᲐᲖᲔᲚᲐ ᲛᲐᲡᲮᲐᲠᲐᲫᲔ.

Ა. Წ. 5 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲡᲡ „ᲗᲔᲗᲠᲝᲜᲘᲡ" ᲐᲥᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐ.

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ:

1. ᲡᲐᲬᲔᲡᲓᲔᲑᲝ ᲙᲐᲪᲘᲗᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲐ;
2. ᲬᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲗᲛᲝᲑᲐ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲡᲐᲓᲒᲐᲠᲘ ᲓᲘᲚᲘ, ᲡᲡ ᲗᲔᲗᲠᲝᲜᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ.

ᲨᲔᲡ „ᲓᲔᲙᲐ" ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲚᲘᲙᲕᲘᲓᲐᲪᲘᲐᲡ. ᲓᲐᲘᲜᲢᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚ ᲞᲘᲠᲔᲑᲡ, ᲒᲗᲮᲝᲕᲗ, ᲛᲝᲒᲕᲛᲐᲠᲗᲝᲗ:
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲖᲔ 899 55-04-97.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1. Ქ.ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ისანი-სამგორის რაიონული გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს რაიონის საცხოვრებელ კვარტლებსა და კორპუსებში მდებარე წყლის წნევების გამაძლიერებელი წყალსაქაჩების ექსპლუატაციისა და რემონტისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

წყალსაქაჩი სადგურების რაოდენობა — 57 ერთეული;

წყალსაქაჩი გუმბოების რაოდენობა — 62 ერთეული, საერთო სიმძლავრით — 1852 კვ.სთ.;

წყალსაქაჩების მუშაობის რეჟიმი დღე-ღამეში — 12 საათი.

2. მიწოდების საგალდებულო ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2004 წლის 1 იანვრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2003 წლის 21 ივლისის 12 საათიდან 22 ივლისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №14, ისანი-სამგორის რაიონული გამგეობა.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა ნოგარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა მსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა მსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი მემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის საგენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2003 წლის 24 ივლისის 12 საათიდან 25 ივლისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №14, ისანი-სამგორის რაიონული გამგეობა. საგენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გიორგი ქორქაშვილი — საქალაქო მეურნეობის სამსახურის უფროსი, საგენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 76-51-38 და ავთანდილ მათირიშვილი — საქალაქო მეურნეობის სამსახურის განყოფილების უფროსი, საგენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 76-51-38, მისამართზე: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. №14, ისანი-სამგორის რაიონული გამგეობა.

ᲡᲐᲒᲔᲜᲓᲔᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ.

ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ, ᲘᲧᲘᲓᲔᲗ, ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ Გ

წინ, საქართველო!

ნანა მაგნიძე მსოფლიო ჩემპიონია

20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობაზე 28 ქალი და 50 ვაჟი მონაწილეობდა. მათ შორის 4 წარმომადგენელი საქართველოდან გახლდათ. ნინებულად ითამაშრეშა ქუთაისელმა საერთაშორისო ოსტატმა ნანა მაგნიძემ (მას დიდოსტატის სამი ბალი აღებული აქვს და ფიდეს უახლოეს კონგრესზე მიანიჭებენ ამ წოდებას), რომელმაც შედეგად 7 მეგოქეს სძლია, ბოლო 4 ტურში კი 3 პარტია ყაიმით დაამთავრა, ერთში — გამარჯვა და 9,5 ქულით ოქროს მედალი დაიმსახურა.

ნანა პაპნიძე საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია სხვადასხვა ასაკში. ორ-ორჯერ მსოფლიო და ევროპის პირველობებზე გაიმარჯვა. ამდენჯერვე ფლობდა ევრცხლის მედალს. მარშან 20 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს და ევროპის პირველობებზე მე-2 ადგილები დიაკავა, დსთ-სა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ჭაბუკთა საერთაშორისო სპორტულ თამაშებზე პირველი იყო. თბილისის „ნგნ“-ის შემადგენლობაში ევროპის ქალთა საკლუბო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია.

განსაკუთრებულ წარმატებებს წლეულს მიაღწია. 18 და 20 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობებზე ყველას აჯობა, შემდეგ ქალთა ეროვნულ ჩემპიონატში მოიპოვა ოქროს მედალი (2001 წლის ვიცე-ჩემპიონია), ორჯერ იყო საქართველოს პრეზიდენტის სახელობითი სკიპენდიატი, სწავლობს ქუთაისის სპორტული სკოლა-ლიეცეუმის XI კლასში. ნახჭევანში 20-წლიანთა მსოფლიო ჩემპიონობით გაისად ქალთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებაც მოიპოვა.

ნანას მთელი ორი ქულით ჩამორჩა რუმინელი ქრისტინა გალოგესკუ. 7,5 ქულა მოაგროვა სხვადასხვა ასაკში მსოფლიო და ევროპის ჩემპიონმა ანერბაიჯანელმა მეინან მამედიაროვამაც, მაგრამ მას უარესი კოეფიციენტით ბრინჯაოს მედალი ერგო. სამაგიეროდ, იყოჩაღა ზეინაბის ძმამ — დიდოსტატმა შაჰრიარ მამედიაროვმა, რომელიც 13 შესაძლებლიდან 10,5 ქულით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. 9,5 ქულით მეორე ადგილზე გავიდა ბელორუსი დიდოსტატი სერგეი აბაროვი. 8,5-8,5 ქულა ერთბაშად ხუთმა მოჭადრაკემ მოაგროვა. უკეთესი კოეფიციენტით ბრინჯაოს მედალი უკრაინელმა ალექსანდრ ზუბოვმა დაიმსახურა.

სამწუხაროდ, ჩვენი მოჭადრაკე ვაჟები სამეულს მიღმა დარჩნენ. ლევან ფანცულაია (8 ქულა) X ადგილზე გავიდა, ზვიად იბორიაი (7,5) — მეთითხმეტეზე, ხოლო გიგა ყუფარაძემ (6,5) XXI ადგილი დაიკავა.

ლეონო ციწაძე.

ცხოვრების ჯანმრთელი წესი

„თბილისური ზაფხული-2003“

საქართველომ აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან მუშაობის თავადარი სამმართველო „დიპლომატი“ (უფროსი — ეკატერინეშვილი) საელჩოების თანამშრომელთა შორის ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად სხვადასხვა ღონისძიებას აწყობს. ყველაზე პოპულარული, რა თქმა უნდა, მინიფუტბურთია.

სპორტის ამ სახეობაში პირველობები 1997 წლიდან იმართება. წლეულაც ვაკეში „ირაოს“ სტადიონზე „თბილისური მაფხული-2003“-ში სასპარეზოდ გუნდები შეიდმა საელჩომ და გუნრნირის ერთ-ერთმა სპონსორმა „მაგთიკომმა“ გამოიყვანეს. მონაწილენი ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. წრიული გუნრნირის შემდეგ ნახევარფინალში ამმ-ს საელჩომ ეუთოს სძლია 3:1, ხოლო მაგთელებმა რუსეთის საელჩოს თანამშრომლები დაამარცხეს 4:2. ფინალში „ამერიკელთა“ უპირატესობა აშკარა იყო. სეფერთელამემ (4 გოლი), ხუციმოვმა და ვასაძემ (ავეგოგოლი) 6 უპასუხო ბურთი მოათავსეს „მაგთის“ კარში და, ცხადია, მთავარ პრიზს ამმ-ს საელჩოს გუნდი დაეუფლა.

გამარჯვებულები და პრიმიორები თასებითა და მედლებით გურნირის ერთ-ერთი სპონსორის — „ავსტრიის აეიიახაზების“ წარმომადგენელმა ევა ბერგერმა და „დიპლომატის“ სპეცნომრების სამსახურის უფროსმა რომან კოხგამოვილმა დაჯილდოვეს.

ვაფა დანელია.

სურათებზე: ფინალური შეხვედრის მომენტი; ევა ბერგერი მთავარ პრიზს გადასცემს გამარჯვებულებს; გურნირის ჩემპიონი — ამერიკის საელჩოს გუნდი.

აპრძალული ზონა

საგზაურებრივად ქვეყნებთან ჩვენი სწორი, მიზანმიმართული პოლიტიკის, საქართველოს ევროსტრუქტურებში გაწევრიანების, ეკონომიკური კავშირების გაღრმავების შედეგად, ბოლო წლებში საქმიანი თუ კერძო ვიზიტით, დროებით საცხოვრებლად თუ გურისგან უამრავი უცხოელი მოგვწყდა. ძირითადად მოდიან ქალაქ თბილისში, სადაც თავმოყრილია საელჩოები, მათი წარმომადგენლობები, ჰუმანიტარული თუ სხვა სახის საერთაშორისო ორგანიზაციები, ერთობლივი საწარმოები, ოფისები.

კი, ჩამოვიდნენ, ვიმეგობროთ, ერთად ვიმუშაოთ, დაისვენონ, საქართველო გაიცნონ, — სტუმარი ღვთისაა, მაგრამ დანაშაულის ჩადენა არც მასპინძელს ეპატიება და არც სტუმარს. კანონის წინაშე ყველა თანაბარია. ამ იდეას აგარებს ჩვენთან საუბარში საქართველოს გენერალური პროკურატურის განყოფილების უფროსი ბოლოდან ძმმსსტარამეული.

— ბაგონო გოდერძი, მარშან და წლეულს ჩვენ უცხოელთა მიმართ ჩავიდინეთ 170-მდე დანაშაული. თავი მოვიზეროთ 40-მე მეგი ქვეყნის წინაშე. ამასთან, ისიც სათქმელია, რომ არც ყველა უცხოელია უცოდველი კრავი. ჩამოდიან და დანაშაულს აქაც სსადიან. რა ვითარებაა ამ მხრივ?

— ნაკლებად, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე დანაშაულებს უცხო ქვეყნების მოქალაქეებიც სსადიან. სამართალდამცავი ორგანოების ხელთ არსებული ოფიციალური მონაცემებით, მარშან ჩვენს ქვეყანაში რეგისტრირებულია მათ მიერ ჩადენილი 56 სხვადასხვა კატეგორიის დანაშაული, წლევანდელ 6 თვეში კი — 28. მათგან 12 — მხოლოდ ქალაქ თბილისშია, დანარჩენები — ქვემო ქართლში, მდა ქართლში, სამცხეჯავახეთში, მცხეთა-მთიანეთში, კახეთში და აჭარაში.

28 დანაშაულიდან 4 მკვლელობაა, 5 — ქურდობა, 3-3 — საზღვრისა და საბაჟო წესების დარღვევა, არის კიდევ ავტოსაგზაო შემთხვევა, ძარცვა, ხულიგნობა, ნარკოტიკულ სამუალებათა შენახვა-რეალიზება. ისინი ჩადიდნეს რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის, სირიის მოქალაქეებმა.

— იმნაირ კონკრეტულად რამდენიმე ფაქტი დგებისახელეოთ?

— ახლავე. 2003 წლის 19 იანვარს დაიკავეს სვერდლოვსკელი სერგეი ნიკოლაევი, რომელმაც პისტოლეტით მოკლა სოლომონ ლამაური; 30 აპრილს დაიკავეს თურქეთის მოქალაქე იფლან გოლგა, რომელმაც დავით ანფიმიადს გასგაცა 520 ლარი; 2 ივნისს დაიკავეს აზერბაიჯანის მოქალაქე გამილ ასკაროვი, რომელმაც დანით მოკლა თოთა მაგარამეული; ნარკოგიკით ვაჭრობაზე წაასწრეს მოლდაველ ელენე ბლაჟინსს, აზერბაიჯანელ ჩინგიზ აბდულაევს, რუსეთელ ლიდია თურმანიშვილს და სხვებს.

— უცხოელთა მიმართ ჩადენილ დანაშაულთა გახსნის მაჩვენებელი ძალიან აღწევს 40 პროცენტს. ეს ლამის ორჯერ ჩამორჩება შიგა საქვეყნო მონაცემებს. ძალზე ცოტაა აქ დაკავებული და გასამართლებული უცხოელიც. რითაა გამოწვეული ეს?

— როგორც უცხოელთა მიმართ, ასევე უცხოელების მიერ ჩადენილი დანაშაულის გახსნა, გამოძიება და სასამართლის საქმის ლიგიკურ დასასრულამდე მიყვანა თავისებური, სპეციფიკური ხასიათისაა. ეს უმეტეს მეშთხვევაში დაკავშირებული სამართალდამცავი ორგანოებისგან დამოუკიდებელ, გარკვეული სახის სირთულეებსა და პრობლემებთან. ამის გამო ასეთი კატეგორიის ცალკეული დანაშაულები გარკვეული დროის განმავლობაში გაუსსნელი რჩება, ან უკვე დაწყებული გამოძიების დამთავრება ვერ ხერხდება.

დანაშაულის გამოვლენას, გახსნას და სრულყოფილად გამოძიებას კანონით განსაზღვრული, თავისი წესები აქვს. გაწეული ყველაფრის დაწერა და გელევიზიაში ყველაფრის თქმა მიზანშეწონილი არ არის. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ, როგორც მოგეერთები ამტკიცებენ, „საქმე თაროზე უმოქმედოდა შემოდებული“, ან „ჩაფარცხული“.

რა თქმა უნდა, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში არის გარკვეული სახის ნაკლოვანებები, მაგრამ არა იმდენი და ისეთი, რასაც გვაბრალებენ. რამდენადაც ყველაფერს უარყოფითს სამართალდამცავებს აწერენ, ჩვენს დადებით საქმიანობაზე კი ნაკლებად ლაპარაკობენ.

ყველას გვახსოვს, თუ რა აეიოგაეი იყო აგეხილი 2000 წლის 30 ნოემბერს ესპანელი მოქალაქეების გერელინოს და როდრიგესის გაგაცებასთან დაკავშირებით. გავიდა სამი წელი და ხომ გაიხსნა ეს დანაშაული? დაკავეს გამგაცებლები, ე. ი. საქმე არ ყოფილა „ჩაფარცხული“ ან „თაროზე შემოდებული“.

მაღე თაროზე დროებით შემოდებულ სხვა საქმეებსაც გადმოვიგასცა ბრძანება მისი დაპატიმრების შესახებ და ვინაიდან იგი იმალებოდა, გამოცხადდა ძებნა. ამ მიგივით გამოძიება შეჩერდა... ახლა ბულგარეთში სამართალდამცავები რადაცას ჯახირობენ, თითქოს სასამართლოს აწყობენ, მაგრამ რა, ჩვენი დაბარალებული მხარე იქ უსახსრობის გამო ვერც კი მიდის. აბა, ასე რა საჩვენო ვერდიქტი გამოვა...

ასეთი ფაქტები არაერთია.

არის შემთხვევები, როცა უცხოელი უკანონოდ შემოდის და დაბორიალობს მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. აქ სამართალდამცავი ორგანოები ვერ ფლობენ სრულყოფილ მონაცემებს ასეთების შესახებ და, რა თქმა უნდა, უცხოელის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ძნელია მისი პიროვნების დადგენა, მით უმეტეს, დაკავება.

— და ჩვენ არაფერს ვაკეთებთ, ისე გულხელდაკრეფილები ვსხედვართ?

— ყინული დაიძრა. საქართველოს ტერიტორიაზე პროკურატურამ წლევანდელიდან განსაკუთრებული კონტროლი დააწესა როგორც უცხოელთა მიმართ, ასევე მათ მიერ ჩადენილი უკლესლივ ყველა დანაშაულების დროულად და კანონმესაბამისად რეაგირებაზე. გენერალური პროკურორი გვავალებს, სისტემატურად მოხსენდეს მას ამ მიმართებით როგორც პროკურატურის, ასევე შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. მაგრამ მხოლოდ პროკურატურის ორგანოების ძალისხმევით ყველა პრობლემა ვერ გადაწყდება და ამ საერომი სასურველი შედეგი ვერ მიიწევა.

რახან დანაშაულის სუბიექტად გვევლინება უცხო ქვეყნის მოქალაქე, მასთან დაკავშირებული საჭირბოროტო საკითხების მოსაგვარებლად (თუნდაც კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შესაგანად) აუცილებელია საგარეო, იუსტიციის, შინაგან საქმეთა, უმაღლეს სამინისტროების, საბაჟო დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის და სხვა შესაბამისი უწყებების მიერ ერთობლივი, შეთანხმებული და კოორდინირებული ღონისძიებების განხორციელება, რა თქმა უნდა, საზოგადოების მხარდაჭერითა და დახმარებით

ეს ყველაფერი ოღონ საქმე არაა, მაგრამ თუ მოვინდომებთ, მაღე იქნება. საშური ამბავია!

ბონდო გულიაშვილი.

არც ყველა უცხოელია უცოდველი კრავი

ალიარება

გაუმარჯოს ქართველ კოლინას!

შურმან ძურძენი, გიორგი ავალიანელის, როლანდ ხომერიკისა და როლანდ ბელოვანის სამშობლოს კიდევ ერთი საერთაშორისო კატეგორიის საკალათბურთო მსაჯი შეემატა — ეს გახლავთ არარდნარული ქუთაისელი ბრბაგრი ბაბა მიჩასაძე, რომელსაც ეს საპატიო წოდება ამ დღეებში მიანიჭა შიბა-მ.

— ევროპელ მსაჯთა ამასწინანდელ სემინარზე ჩემი „ქოჩრის“ გამო თითქმის ყველანი კოლინას მეძახდნენ — განაცხადა პოლანდიიდან დაბრუნებულმა რიონისპირელმა „შაოსანმა“. თუმცა, თავის იგალილელ საფეხბურთო კოლეგას მაბა მხოლოდ „ვარცხნილობით“ როდი პგავს — ვინ მოთვლის, მის რამდენ სადავო გადაწყვეტილებას გამოუწვევია ენებათაღლეკა როგორც ტრიბუნებზე, ისე უშუალოდ სარბიელზე. სამწუხაროდ, ჩვენ განრისხებულ მოთამაშემწვრთნელთა და „გულშემატკივართა“ მიერ შეურაცხყოფილი (მათ შორის — ფიზიკურადაც) მაჩალაძეც გვახსოვს...

ცნობისათვის: ზაზა მაჩალაძე ყმაწვილკაცობაში რაგბითა და კალათბურთით იყო გატაცებული, მაგრამ მოჭარბებული ემოციებისა და მსაჯების (!) მიმართ გამოჩენილი აგრესიულობის გამო სამედამო დისკვალიფიკაციას გამოპკრა ხელი, თუმცა, როგორც ვხედავთ, საყვარელ საქმეს (ენებათ — მოწოდებას) ვერც ამ სანქციებმა ჩამოაშორა.

ღმერთმა ხელი მოუმართოს!

გია პალატონიშვილი.

სურათებზე: ჩვენებური და ნამდვილი კოლინა.



მოკლედ

„ჩესური ზარბაზანი“

უკანასკნელი 6 წლის მანძილზე ნახევარმცველი პაველ ნედვედი (რომელიც გურნინს „ოვენგუსში“ თამაშობს) უკვე მეოთხედ აღიარეს ჩეხეთის № 1 ფეხბურთელად. ნედვედს ორივე ფეხით ყუმბარისებური დარტყმა აქვს და ამის გამო „ჩეხურ ზარბაზანს“ უწოდებენ.

მომდევნო ორი ადგილი დაიკავეს დორგმუნდის „ბორუსიაში“ მოთამამე ფეხბურთელებმა ნახევარმცველმა ტომაშ როსიეკიმ და თავდამსხმელმა იან კოლერმა.

სკანდალური შუსტერი დონეცკში იმუშავებს

რობერტ დონეცკის „შახტიორის“ პრეზიდენტმა რინატ ახმეტოვმა განაცხადა, მან ორი წლით გაბიორმა ხელშეკრულება გერმანელ მწვრთნელ ბერნდ შუსტერთან.

ბერნდ შუსტერი, ევროპის 1980 წლის ჩემპიონი, თავისი სკანდალური ხასიათით არის ცნობილი. სხვადასხვა დროს იგი თამაშობდა მადრიდის „რეალსა“ და „აგლეტიკაში“, აგრეთვე, „ბარსელონაში“ და მსოფლიო კლასის ნახევარმცველად თვლებოდა.

როგორც მწვრთნელს, შუსტერს აქამდე რამე წარმატება არ ჰქონია. უკანასკნელ ხანს იგი წვრთნიდა ესპანეთის მეორე დივიზიონის კლუბ „ხერესს“.

ფეხბურთი

ივანე შუდრას მემორიალი

ქართველ ფეხბურთის განვითარებაში დიდი წვლილი მეიგეგნეს უკრაინელებმა — სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა სერგო შუდრამ და მისმა უმცროსმა ძმამ, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ივანე შუდრამ. სერგო წლების განმავლობაში წარმატებით იცავდა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კარს, ვანმე კი ქართულ ფეხბურთს ცნობილი ოსტატები აღუზარდა, მათ შორის, ალექსანდრე ჩიგაძე, ძმები მანუსარ და გოჩა მაჩალიები, გოჩა ხარაგიშვილი და სხვები.

ვანო შუდრას ხსოვნას მიეძღვნა ჭაბუკ ფეხბურთელთა გურნირი, რომელიც სპორტკლუბ „გორგიას“ სტადიონზე გაიმართა. მეჯიბრებაში 1989-90 წლებში დაბადებულთა 16 გუნდი მონაწილეობდა. ნახევარფინალში „ხერრი დინამოელის“ პირველმა გუნდმა 3:1 დამარცხა „გრანტი“, ხოლო „ხერრი დინამოელის“ მეორე გუნდმა პენალტებით სძლია (5:3) „გეორგიას“.

ფინალში „ხერრი დინამოელის“ პირველმა (მწვრთნელი გურამ კანდელია) გუნდმა 5:3 მოუგო მეორე გუნდს (მწვრთნელი ლაშა ილაგავა) ხუთ საპაგონ თასიც მოიპოვა. III ადგილი ხვდათ „გრანტის“ ფეხბურთელებს (მწვრთნელი კობა მეკავანაძე). პრიზები ერგოთ: საუკეთესო მეკარისა — დინამოელ მერაბ ქაშიბაძეს, მცველისა — გიორგი რაზმაძეს („ბეორგია“), ნახევარმცველისა — გიორგი თხინვალელს, თავდამსხმელისა — მირიან დონდუას, საუკეთესო მოთამამისა გიორგი ვერულაშვილს (ყველა „დინამო“). „გრანტის“ ფორვარდმა ლაშა ჯოხაძემ, რომელმაც 18 ბურთი გაიგანა, გურნირის ბომბარდირის პრიზი დაიმსახურა.

შალვა ძორიძე.

ბატუტზე ხტომა

კვარცხლბეკზე — ნაცნობი სახელები

წლეულს ოქემბერში პანოვერი (გერმანია) ბაგუგმე მსგოფლოთა მსოფლიო პირველობას უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადებიან საქართველოს ახალგაზრდა სპორტსმენები. მათთვის ერთგვარი ძალების მოსინჯვა იყო საქართველოს მოსწავლეთა პირველობა, რომელიც ამას წინათ გაიმართა. სასასპარეზოდ თბილისის, აჭარის, ქართლის და მცხეთის 50-მდე წარმომადგენელი გამოვიდა. სპორტის ოსტატის პროგრამით ინდივიდუალურ ხტომებში გოგონათა შორის ყველას ლიუბოვ გოლოვინამ აჯობა. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, სალომე ბოდაველი და ნანა ღუჭაშვილი გავიდნენ (ყველა თბილისი). ვაკეებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. თენგიზ კომპაძე (თბილისი), 2. ზურაბ ჭყონია (ბათუმი), 3. გიორგი მარქარიანი (თბილისი).

გერმანიაში მსოფლიო პირველობაზე გასამგზავრებლად ლიუბოვ გოლოვინას, თენგიზ კომპაძეს და ოლეგ კოლოსოვს თბილისის მერიის სპორტისა და გურრიმშის სამსახურის განვარჯიშეულ სახეობათა სკოლა (დირექტორი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი რობა ბერიკაშვილი) დააფინანსებს, ხოლო ზურაბ ჭყონიას — აჭარის სპორტის დეპარტამენტი.

ბარი ამირანაშვილი.

ფეხბურთელი პრეზიდენტი

პარბად დაიკვირდით ამ სურათს — ეს ხანდაზმული ფეხბურთელი ალბათ ვერც კი იცანით. აქ გასაკვირი არაფერია ის ხომ ბრაზილიის პრეზიდენტი ინასიო ლულა და სილვაა. ფეხბურთის მინდორი კი, სადაც ის ბურთს მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად დასდევს, პირდაპირ პრეზიდენტის სასახლის ფანჯრებთანაა.

სპორტის რედაქცია

ოლიმპიური ნოლიმპიური

ოლიმ, ასე გადაწყვიტა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 115-ე სესიამ პრაღაში — კანადის ქალაქი ვანკუვერი უმასპინძლებს 2010 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს, თუმც აღვილად შეიძლებოდა არჩევანი კორეის პენგჩანგზე შეჩერებულიყო, რომელმაც თავი დიდებულად წარმოადგინა. კანდიდატებს შორის იყო ავსტრიული ზალბურგიც.

კენჭისყრის პირველ ტურში დარიგდა 111 ბიულეტენი. ხმა მისცა 107 კაცმა. გამარჯვებისთვის საჭირო იყო 54 ხმა. შედეგები კი ასეთი იყო: პენგჩანგი — 51, ვანკუვერი — 40, ზალცბურგი — 16. მეორე რაუნდში მონაწილეობა მიიღო სოკ-ის 109 წევრმა. ვანკუვერმა გაიმარჯვა — 56:53.

ლუისი თანახმაა მატჩ-რევანშზე

ნიუ-იორკში პრესკონფერენცია გამართა WBC ვერსიით მსოფლიო ჩემპიონმა მიმი წონაში, ბრიგანელმა მოკრიეემ ლენოქს ლუისმა. მან განაცხადა, რომ ამჯობინებს მატჩ-რევანში გამართოს უკრაინელ ვიტალი კლიჩკოსთან, თავდაპირველად კი დაგეგმილი იყო მისი ორთაბრძოლა WBA ვერსიით მსოფლიო ჩემპიონთან, ამერიკელ როი ჯონსთან. „მე გადაწყვეტით მინდა მატჩ-რევანში. არჩევანი უკვე გავაკეთე“, — განაცხადა ლუისმა.

სავარაუდოდ გამეორებითი ბრძოლა წლეულს, 6 დეკემბერს შედგება. ბრიგანელი ამასთან მოითხოვს, რათა ექიმმა გულდასმით შეამოწმოს კლიჩკო, რომელსაც 21 ივნისის შეხვედრისას წარბი გაუსკდა და ლენოქსს გამარჯვება ტექნიკური ნოკაუტით ჩაეთვალა.

თავად კლიჩკო მიესალმება მეტოქის ასეთ გადაწყვეტილებას და გამარჯვების იმედსაც გამოთქვამს.

ყოველი მხრიდან

ისევ კასპაროვი

ლონდონში ფიდემ გამოაქვეყნა მოჭადრაკეთა ახალი რეიტინგი. საჭადრაკო სამყაროს პირველ კაცად კვლავ **გარი კასპაროვი** რჩება 2830 ქულით. მეორე ადგილზე კლასიკურ ჭადრაკში ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონი **ვლადიმერ კრამნიკი** — 2785. პირველ ათეულში დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: 3. **ვიშვანათან ანანდი** (ინდოეთი) — 2774; 4. **პეტერ ლეკო** (უნგრეთი) — 2739, 5; **ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი) — 2735; 6. **ალექსანდრე გრიშჩუკი** (რუსეთი) — 2732,7; **ალექსი შიროვი** (ესპანეთი) — 2732; 8. **პეტრუ სვიდლერი** (რუსეთი) — 2723; 9. **ევგენი ბარეევი** (რუსეთი) — 2721 და 10. **მაიკლ ადამსი** (ინგლისი) — 2719.

როგორც ხედავთ, პირველ ათეულში ვერ მოხვდა ბევრი ცნობილი მოჭადრაკე, მათ შორის, ფიდეს ვერსიით ახლანდელი მსოფლიო ჩემპიონი, უკრაინელი რუსლან პონომარიოვიც.

ვანკუვერი — ოლიმპიური დედაქალაქი

ოლიმ, ასე გადაწყვიტა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 115-ე სესიამ პრაღაში — კანადის ქალაქი ვანკუვერი უმასპინძლებს 2010 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს, თუმც აღვილად შეიძლებოდა არჩევანი კორეის პენგჩანგზე შეჩერებულიყო, რომელმაც თავი დიდებულად წარმოადგინა. კანდიდატებს შორის იყო ავსტრიული ზალბურგიც.

კენჭისყრის პირველ ტურში დარიგდა 111 ბიულეტენი. ხმა მისცა 107 კაცმა. გამარჯვებისთვის საჭირო იყო 54 ხმა. შედეგები კი

ფეხბურთელი პრეზიდენტი

პარბად დაიკვირდით ამ სურათს — ეს ხანდაზმული ფეხბურთელი ალბათ ვერც კი იცანით. აქ გასაკვირი არაფერია ის ხომ ბრაზილიის პრეზიდენტი ინასიო ლულა და სილვაა. ფეხბურთის მინდორი კი, სადაც ის ბურთს მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად დასდევს, პირდაპირ პრეზიდენტის სასახლის ფანჯრებთანაა.

სპორტის რედაქცია

ხვრელები დიდ კორუფციაში

„ჰუმანიტარული“ პროდუქტებით ბიუჯეტმა 2 067 046 ლარით იზარალა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს მიერ მოკვლეული მასალების საფუძველზე, საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში იმყოფებოდა სისხლის სამართლის საქმე აფხაზეთის დახმარების საერთაშორისო ფონდი „სოხუმის“ პრეზიდენტის ძ. ძოწენიძისა და კომერციული დირექტორის ე. ღონიაშვილის მიმართ.

წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ აფხაზეთის დახმარების საერთაშორისო ფონდ „სოხუმის“ პრეზიდენტმა ძ. ძოწენიძემ და კომერციულმა დირექტორმა ე. ღონიაშვილმა 2001 წლის მაისში მაადგინეს ყალი უთარიღო ხელშეკრულება, რომლის თანახმად თურქეთის რესპუბლიკის ფირმა „შეიბექს“ ფონდ „სოხუმისათვის“ საქველმოქმედო საქმიანობის განსახორციელებლად უნდა მიეწოდებინა 3 მილიონი დოლარის ღირებულების სასურსათო საქონელი. ეს ყალი ხელშეკრულება ძ. ძოწენიძემ წარადგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის „სარფის“ საბაჟო-გამშვებ პუნქტში.

„სოხუმმა“ საქართველოში გრანტის სტატუსით 2001 წლის 5 აგვისტოდან 2002 წლის 19 მარტამდე შემოიგანა 2133543 დოლარის ღირებულების 11121 ტონა ტვირთი, მათ შორის, ხორბლის ფქვილი, შაქარი, მაკარონი, ტომატი, ბარდა, შეთი.

გამოძიების პროცესში, საქართველოს ინტერპოლის ეროვნული ბიუროდან მიღებული წერილით გაირკვა, რომ თურქეთის ფირმა „შეიბექი“ არ არის საფონდო დაწესებულება და მას არავითარი ხელშეკრულება ქართულ ფონდ „სოხუმთან“ არ გაუფორმებია. ამასთან, ფირმა „შეიბექის“ კაპიტალი შეადგენს სულ 150.000 დოლარს და მას, ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, არ შეეძლო 3 მილიონი დოლარის ღირებულების გრანტის სახით გაცემა.

ამრიგად, დადგინდა, რომ ფონდი „სოხუმის“ მიერ საბაჟო წესების დარღვევით საქართველოში გრანტის სახით შემოგანილი 3 მილიონი დოლარის ღირებულების სასურსათო საქონელი წარმოადგენდა კომერციულ ტვირთს, რომლის საბაჟო დაბეგვრაც უნდა მომხდარიყო შესაბამისი კანონმდებლობით.

აფხაზეთის დახმარების საერთაშორისო ფონდი „სოხუმის“ ხელმძღვანელი პირების მიერ საბაჟო წესების დარღვევით, დოკუმენტის მოგეუვებითი გამოყენებით საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდძალი საქონლის გადაგანის შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტმა სანქცია-საურავების დამატებით 2.067.046 ლარი იზარალა.

სისხლის სამართლის საქმე ქვემდებარეობით გადაეგზავნა საქართველოს უმაღლესის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს.

ვალერიან გოგოლაშვილი.

2003 წლის 9 ივლისს დილის 11 საათზე ტარდება საჯარო აუქციონი სს „ევერთბანკის“ კუთვნილი საცხოვრებელი სახლის (მდებარე დაბა წყნეთში, კოსტავას ქუჩა №30) რეალიზაციის თაობაზე.

განცხადებების მიღება დასრულდება 2003 წლის 8 ივლისს საღამოს 17 საათზე.

აუქციონი ჩატარდება ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანი 7 ა, მე-6 სართული, ოთახი 633.

ტელ: 877 71-03-20.

ცინცხალი ამბები

შვეიცარიის ქალაქ ნიონში 9-10 ივლისს ნატარდება უეფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, სადაც უეფას თასის ნაგარების ახალ ფორმატს განიხილავენ. ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იქნება ამ ტურნირის პრესტიჟის ამაღლება. უეფას თასის გთამაშეთ უნდა გაუთანასწორდეს ჩემპიონთა ლიგის დონეს. წლეულს, შარტში უეფას XXVII კონგრესზე ეს წინადადება 52 ეროვნულმა ფედერაციამ მოიწონა.

ბოლოს ლიონში ყოფილმა და მოქმედმა ოდდათსუთმეტმა ზოგბურთის ვარსკვლავმა ბრიგანეთის დედაქალაქში გაშარათულ შეხვედრაზე მოითხოვა ზოგბურთის ზოგნის ზომების შეცვლა. ზოგნის დიამეტრი 31,75 სანტიმეტრიდან 22,5 სანტიმეტრამდე უნდა შემცირდეს, რაც სპორტის ამ სახეობას, ზოგბურთელთა აზრით, ძალისმიერიდან ხელოვნებამდე აიყვანს. ამ მოთხოვნას შხარი დაუჭირეს ჯონ მაკინროემ, ბორის ბეკერმა, პეტა კეშმა, შარგინა ნავრატილოვამ და სხვა ვარსკვლავებმა.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ალბომი

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

თელავის საშენიგო არგილერიის სასწავლებელი 1941 წლის ივნისის ბოლოს, მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებისთანავე, როგორც იტყვიან, ცხელ კვალზე დაარსდა და მრავალი დირსეული მებრძოლიც აღზარდა.

ამ სურათზე სასწავლებლის კურსდამთავრებულთა ერთი ჯგუფია გამოსახული. სურათი გადაღებულია 1966 წლის 9 მაისს.

მოგვაწოდა ბუმი რევაზამ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოსაქვეყნებლად დაგოვებული სურათების წასაღებად.

ლიმილის დოზა

ექიმი პაციენტ ქალს:

— რამდენი წლისა ხართ?

— თვრამეტის!

ექიმი დაეჭვებით:

— დოლარებში?

***

ფსიქიატრიან ფრთხილად შედის პაციენტი. ექიმი რეცეპტს წერს.

პაციენტი:

— ექიმო, ამ ბოლო დროს გარშემო მყოფთა ჩემი პერსონის მიმართ არადეკვატური რეაქცია ძალიან მაღიზიანებს.

ექიმი დაამთავრებს თავის საქმეს და შეეკითხება:

— უკაცრავად, რა ბრძანეთ?

— ახლა შენ ნუ მაბრაზებ, თორემ...

***

— ექიმო, თქვენ კუჭის აშლილობის საწინააღმდეგო ტაბლეტები გამომიწერეთ, მაგრამ არ მიშველა...

— ეეე, ჩემო კარგო, თქვენ მაგ ტაბლეტებს სხვა მხრიდან ყლაპავთ!

***

წარწერა სამგლოვიარო გვირგვინზე: „მაპატიე, შეცდი, შენი ინტუიცია“.

***

— ოპა, გოგონა წაიქცა, ესე იგი, ჩანგალი მოვა.

***

— გინდა, გამოვიცნო, რა გქვია? გინდა, გინდა? გეტყვი რა გქვია!

— ახალგაზრდა, გადით მაგზოლეუმიდან.

***

ჩვეულებრივ, ყველაზე მეტი მოხვდება ხოლმე იმას, ვინც განზე იდგა და მხოლოდ უცქერდა.

სულიერება

ფოკაში, წმინდა ნინოს ნაკვალევზე

ბრაზილია გრძელდება. უკვე მეოთხე წელიწადია, რაც თსუ სტუდენტები ჯავახეთში, ფოკაში მიეგზავრებიან. ისინი იქ ერთ თვეს დაბყოფენ და სხვადასხვა სამონასტრო-სასულიერო საქმიანობაში მიიღებენ მონაწილეობას. იგივეზეა სანტაერესო კულტურული დონისძიებები, ახალი წიგნების პრეზენტაცია და სხვ.

სტუდენტებს წარმოდგენა რომ აქონოდათ იქაურ რთულ კლიმატზე, საცხოვრებელ პირობებზე, ისინი წინასწარ, 1 ივნისს ჩაიყვანეს ჯავახეთში და, იქაურობა დათვალიერებინეს. იმ დღეს, აქ პარლამენტის წევრებიც ჩამოვიდნენ — მაია ნადირაძე, ლევან გაჩეჩილაძე, მამუკა ხაზარაძე და თავად თავმჯდომარე — ნინო ბურჯანაძეც კი. ისინი აგვისტომდეც ჩამოვლენ ფოკაში და სტუდენტებთან ერთად იცხოვრებენ.

პირველად ეს ექსპედიცია თსუ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტმა, ამჟამად მორჩილმა გურამ ნიკოლაშვილმა მოაწყო. და ეს გასვლა ჯავახეთში, იმთავითვე, ქართული მარცვლის ჩაგანას ისახავდა მიზნად. მოგეხსენებათ, ეს სასაზღვრო რეგიონი წლების განმავლობაში ჩაკეტილი იყო და იქ შეღწევა თითქმის არავის შეეძლო. პირველ ექსპედიციაში რამდენიმე ადამიანი მონაწილეობდა, ახლა კი, იმდენად გაიზარდა სურვილი და ინტერესი, რომ ფოკაში წამსვლელთა რაოდენობამ ასს გადააჭარბა. ისინი, საქმიანობის მიხედვით, ჯგუფებად არიან დაყოფილნი და სხვადასხვა ადგილას იცხოვრებენ. საერთო შეხვედრა ექნებათ შაბათ-კვირას, მონასტერში.

გვესაუბრება თსუ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი ხაგბა მწიოურიძე:

— მას შემდეგ, რაც ჯავახეთში გასვლა მაგზულობით გრძელიდად იქცა, თქვენ აქტიურად მონაწილეობთ დონისძიებებში, როგორც ერთ-ერთი ჯგუფის ხელმძღვანელი, რას გვეტყვით, ბავშვები, რომლებიც პირველად მოდიან თქვენთან, კმაყოფილნი დარჩებიან?

— ჩვენ ისეთ წმინდა ადგილზე მივდივართ, (აქ ხომ წმინდა ნინომ პირველად დადგა ფეხი), შეუძლებელია კმაყოფილება არ იგრძნო: იმდენი ფიქრი, იმდენი ემოცია მოდის, რომ კალამს ვერ აჩერებ, სულ გინდა, წერო და წერო... მე ჯავახეთის თემა ვერ ამოვწურე. იქიდან რაღაც სხვანაირი ვბრუნდები, ამალლებული, განწმენდილი.

— თუ გაქვთ პროგრამა, რა უნდა აკეთონ სტუდენტებმა, გარდა იმისა, რომ იშუშავებენ?

— ბევრი საინტერესო რამ იგეგმება: შედგება ფილმების ჩვენება-განხილვა, მოეწყობა პოეზიის საღამოები. მართმენ, მაგალითად, ლიანა ისაკაძის ორკესტრიც გვეწვია... დაუვიწყარი იყო.

— ვინ აფინანსებს ამ სტუდენტურ ექსპედიციას?

— დამფინანსებელი უნივერსიტეტია. ყველა საჭირო თანხას ის გვაძლევს, ყველაფერი კი პაგრიარქის ლოცვა-კურთხევით ხდება.

ექსპედიცია 13 ივლისს მიემგზავრება ფოკაში.

* * *

თქვენი მონა-მორჩილიც მოუთმენლად ელის ამ დღეს და გპირდებით, რომ საინტერესო ამბებსაც ჩამოგიგანთ ფოკადან.

ეკა ესპართია,
თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის
IV კურსის სტუდენტი.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის პონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს წუმემოგვთავაზებენ.

სწავლა

ფოთები, ფოთები ვეძებდა!

დები ჭოხონელიძეების კეთილშობილური მიზანი

ნებისმიერ ყმაწვილს, ვისაც სიმღერის სურვილი აქვს, შეუძლია შეადგოს დები ჭოხონელიძეების სტუდიის კარი. აქ ქართული ესტრადის საუკეთესო ტრადიციებზე დაფრდნობით არა მარტო სიმღერას ასწავლიან, არამედ პლასტიკასაც და მეტყველების კულტურასაც. ყმაწვილებს საშუალება ეძლევათ ჭეშმარიტ ქართულ სიმღერას ეზიარონ, შოკჯერ უსამართლოდ მივიწყებულსაც.

თინიკო, სოფიკო და თამრიკო ჭოხონელიძეები.

სტუდიაში იღებენ სამიდან 15 წლამდე ასაკის ბავშვებს და სულაც არ არის აუცილებელი მას განსაკუთრებული ვოკალური მონაცემები ჰქონდეს, ამიტომ აქ ყოველგვარი შერჩევითი ტურები გამოირიცხება.

ცნობილმა მომღერალმა თამრიკო ჭოხონელიძემ და მისმა დებმა — სოფიკომ და თინიკომ სტუდიის დარსებით უკეთილშობილესი მიზანი დაისახეს — ქართული საესტრადო სიმღერის ტრადიციის შენარჩუნება და განვითარება. დღეს, როცა სცენიდან ხმირად მდარე და უხარისხო სიმღერა ისმის, ყმაწვილებს გემოვნებაც უქვეთდებათ და მანერებსაც უცხოურს იძენენ, სწორედ ამ სამიშ ტენდენციას უპირისპირდება ჭოხონელიძეების სტუდია. ბავშვებს სიმღერას ასწავლიან თამრიკო, თინიკო და მათი მუსიკოსი დედა, ქალბატონი ლიგა. მეტყველებას ასწავლის სოფიკო ჭოხონელიძე (თინიკოს და სოფიკოს მოთა რუსთაველის სახელობის თეატრის და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი აქვთ დამთავრებული). პლასტიკაში ბავშვებს ამეცადინებს ქორეოგრაფი ვეკა პირმისამვილი; ამ სტუდიაში მუშაობს რეჟისორიც — კობა სხილაძე.

— ღვთის მადლით, წლეულს სტუდიაში სხვადასხვა დროს დახლოებით ორასზე მეტი ბავშვი მოვიდა, — ამბობს ამ წამოწყების ავტორი და სტუდიის დირექტორი თინიკო ჭოხონელიძე, — ჩვენ პრეტენზია არა გვაქვს, რომ გავმრდით ვარსკვლავებს, რასაკვირველია, ნიჭიერი ბავშვი მომავალში შეიძლება კიდეც გახდეს ვარსკვლავი, მაგრამ ჩვენი მიზანი ეს სულაც არ არის, — ვცდილობთ ყმაწვილებს სმენა განვუვითაროთ, ვიმრჭნოთ მესრულების ქართულ მანერასა და სწორ მეტყველებაზე. ხშირად პაგარები უკვე გარკვეული ჩვევებით მოდიან, ამერიკული და რუსულ-ქართული ერთმანეთში აქვთ შეშავებული. დამახინჯებული სიმღერების ფონზე, რაც დღეს ესტრადიდან ისმის, ვალდებულები ვართ ვიბრძოლოთ ამ ხარვეზების დასაძლევად და ერისა და ღვთის წინაშე ჩვენი წვლილი გავიღოთ.

სულ პაგარებს სიმღერებს სტუდიაში თამამ-თამამით, გართობით ასწავლიან, დები ცდილობენ ყმაწვილებს არაჩვეულებრივი სამყარო შეუქმნან, რაც შეეხება რეპერტუარს, ამ მხრივ, როგორც თვითონ ამბობენ, მაინდამაინც სახარბიელო მდგომარეობა არ არის. ამიგომ უფრო ძველ სიმღერებს იხსენებენ, მიაჩნიათ, რომ სჯობია, სიმღერა ძველი იყოს და კარგი, ვიდრე ახალი და ცუდი. სტუდიის კარი ღიაა ნებისმიერი კომპოზიტორისთვის, რომელიც ბავშვებისთვის შესაფერის კარგ სიმღერას შექმნის.

პაგარები მეცადინეობაზე კვირაში ორჯერ მიდიან, მოზრდილებს უფრო მეტჯერაც უწევთ. აქამდე ჭოხონელიძეების სტუდია ძველი კინოსტუდიის შენობაში იყო განთავსებული, მაგრამ ახლა, უკეთესი პირობების შექმნის მიზნით, უფრო მესაფერის შენობას ეძებენ და იმედი აქვთ, რომ ამ პრობლემას მალე მოაგვარებენ.

ერთი წელია, რაც სტუდია არსებობს. თუ რა გააკეთეს ამ ხნის მანძილზე, ამის ილუსტრაცია გახლდათ ახლახან ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ახალგაზრდული თეატრის შენობაში ერთმანეთის მიყოლებით გამართული ცხრა კონცერტი; ეს იყო საზოგადოებრიობის წინაშე სტუდიის ანგარიში. ბავშვები ცოცხლად მღეროდნენ. დიდი მონდომება და აჩგისგიმი უთოოდ გამოარჩევდა მათ მესრულებას.

რუსუდან მუსიგულაშვილი.

ჰოლანდიელი, რომელმაც „საქართველოში სული დაკარგა“

მოვიდიან, გაჰკვირდიან...

საქართველოს სიყვარულით, აბა, ვის გგგაკვირვებთ? არც ის იქნება, ალბათ, ვინმესთვის უცხო, რომ სხვადასხვა ქვეყნის შვილები ჩვენი სამშობლოთი აღტაცებულები ბრუნდებიან უკან, მაგრამ მაინც მინდა ერთ უცხოელზე გიამბოთ, რომელიც, რამდენჯერმე ეწვია ჩვენს ქვეყანას საქველმოქმედო მისიით.

კავკასიაში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობის გამო მეგობრები ფრედ ვორსტენბოშს ურჩევდნენ, გადაედო მოგზაურობა, მაგრამ მისი პასუხი ასეთი იყო: „მე საქართველოში სული დავკარგე და იქ აუცილებლად უნდა დავბრუნდე“.

პოლანდიელი მამით გავიცანი, როცა მესამედ იმყოფებოდა ჩვენს ქვეყანაში. იგი, როგორც ტურიმის დარგის სპეციალისტი, ახლადშექმნილ ტურისტულ სააგენტო „ჯორჯია ჰოლიდეს“ (Georgia Holiday) უწევდა კონსულტაციას. ფრედს ამ დროისათვის უკვე მათი სტუმარმოყვარეობით, თუმცა, უკვირს, რომ ისინი იშვიათად თუ აგარებენ საათს და არასოდეს ეჩქარებათ. ამასთან დაკავშირებით ხუმრობს კიდეც, რომ დასავლეთში აქვთ საათი, ხოლო საქართველოში, მათგან განსხვავებით, უამრავი დრო გააჩნიათ.

უცხოელ სტუმარს მაგნაბადას მამაცა მონასტერში უმასპინძლა, რომელსაც იგი დიდი მადლიერებით იგონებს. მისი აზრით, ქართული ეკლესიის დიდი წვლილი შეაქვს ქვეყნის განვითარების საქმეში. ბევრი რამ იყო უჩვეულო და საინტერესო მონასტრის ყოფა-ცხოვრებაში, მაგრამ განსაკუთრებული თაბაუჭდილება ფრედზე ღვთაებრივმა ქართულმა გალობამ მოახდინა, რომელიც, რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, არ სრულდება მუსიკალური ინსტრუმენტების თანხლებით.

მას, რა თქმა უნდა, არც თბილისი და რუსულ-ქართული ერთმანეთში აქვთ შეშავებული. დამახინჯებული სიმღერების ფონზე, რაც დღეს ესტრადიდან ისმის, ვალდებულები ვართ ვიბრძოლოთ ამ ხარვეზების დასაძლევად და ერისა და ღვთის წინაშე ჩვენი წვლილი გავიღოთ.

სულ პაგარებს სიმღერებს სტუდიაში თამამ-თამამით, გართობით ასწავლიან, დები ცდილობენ ყმაწვილებს არაჩვეულებრივი სამყარო შეუქმნან, რაც შეეხება რეპერტუარს, ამ მხრივ, როგორც თვითონ ამბობენ, მაინდამაინც სახარბიელო მდგომარეობა არ არის. ამიგომ უფრო ძველ სიმღერებს იხსენებენ, მიაჩნიათ, რომ სჯობია, სიმღერა ძველი იყოს და კარგი, ვიდრე ახალი და ცუდი. სტუდიის კარი ღიაა ნებისმიერი კომპოზიტორისთვის, რომელიც ბავშვებისთვის შესაფერის კარგ სიმღერას შექმნის.

პაგარები მეცადინეობაზე კვირაში ორჯერ მიდიან, მოზრდილებს უფრო მეტჯერაც უწევთ. აქამდე ჭოხონელიძეების სტუდია ძველი კინოსტუდიის შენობაში იყო განთავსებული, მაგრამ ახლა, უკეთესი პირობების შექმნის მიზნით, უფრო მესაფერის შენობას ეძებენ და იმედი აქვთ, რომ ამ პრობლემას მალე მოაგვარებენ.

ერთი წელია, რაც სტუდია არსებობს. თუ რა გააკეთეს ამ ხნის მანძილზე, ამის ილუსტრაცია გახლდათ ახლახან ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ახალგაზრდული თეატრის შენობაში ერთმანეთის მიყოლებით გამართული ცხრა კონცერტი; ეს იყო საზოგადოებრიობის წინაშე სტუდიის ანგარიში. ბავშვები ცოცხლად მღეროდნენ. დიდი მონდომება და აჩგისგიმი უთოოდ გამოარჩევდა მათ მესრულებას.

რუსუდან მუსიგულაშვილი.

სურათზე: ფრედ ვორსტენბოში (ცენტრში) მაგნაბადას მამათა მონასტერში.

განცხადება

სს „ინფოკომის“ გენერალური დირექტორი (დირექტორატი) იწვევს სს „ინფოკომის“ აქციონერებს სს „ინფოკომის“ აქციონერთა რიგგარეშე კრებაზე, რომელიც გაიმართება 2003 წლის 25 ივლისს, შუადღე მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №31, პირველი სართული, საკონფერენციო დარბაზი.

დღის წესრიგი:

1. სს „ინფოკომის“ მომავალი მუშაობის გეგმა;

2. სს „ინფოკომის“ ახლადდანიშნული დირექტორების წარდგენა.

3. სს „ინფოკომში“ ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, სს „ინფოკომის“ საწესდებო კაპიტალის გაზრდა და შესაბამისი ცვლილებების შეგანა სს „ინფოკომის“ წესდებაში.

დღის წესრიგის საკითხების გამო დაწერილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს „ინფოკომის“ დირექტორატში.

დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან დაკავშირებით აქციონერებს შეუძლიათ განმარტებებისა და რეკომენდაციების მოთხოვნა დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოსაგან, როგორც კრებაზე შეპირად, ასევე წერილობით. თუ ამგვარი წერილობითი მოთხოვნა წარდგენილ იქნა დირექტორატში ან სამეთვალყურეო საბჭოში 2003 წლის 15 ივლისამდე, მასზე აქციონერი მიიღებს პასუხს.

კრების მუშაობაში მოწვეულნი არიან:

— აქციის მფლობელი აქციონერები (ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლები), თუ აქციონერები რეგისტრირებულნი არიან საზოგადოების აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი შპს „ეროვნული რეესტრი“ (მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №74, მე-9 სართული, ოთახი №901), 2003 წლის 15 ივლისის 18 საათის მდგომარეობით.

გენერალური დირექტორი
ირაკლი რუხაძე.
საქართველო, ქ. თბილისი.
2003 წლის 5 ივლისი.

რეგულარული, კვირაში ერთხელ, სასაზღვო გემით ტვირთების კონტეინერებით გადაზიდვა მარშრუტით:
ფოთი — ოდესა (ილიჩოვსკი) — ფოთი

ინფორმაციის მიღება შესაძლებელია:

თბილისი — (995 32) 227223, ფაქსი 221129,
Email: barwilt@access.sanet.ge;
ფოთი — (995 393) 71681/82, ფაქსი 71685/86,
Email: elglch@barwilpti.com.ge;
ოდესა (ილიჩოვსკი) — (380 482) 345912, 346027,
ფაქსი 346141, Email: barwil.odessa@barwil.com;
კიევი — (38044) 229 8539, ფაქსი 228 3036,
Email: aosadchiy@barwil. kiev.ua.

გარდაიცვალა ცნობილი გელერეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

ლევან თაძთაძიშვილი

რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის „ქართული გელეფილმის დაარსებაში; იგი თავად ხელმძღვანელობდა მუსიკალურ განყოფილებას და სწორედ ამ სტუდიაში შეიქმნა მისი უმშვენიერესი მუსიკალური და საგელვეფიზიო ფილმები. ამასთანავე, აქტიურად მოღვაწეობდა „ქართულ ფილმშიც“. საზოგადოებამ დაკარგა ღირსეული, გამორჩეული საზოგადო მოღვაწე, კეთილშობილი პიროვნება.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით იუწყება ლევან თაქთაქიმეილის გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე
მერაბ ბერძენიშვილი.

წალკის რაიონის გამგეობა, გაზეთ „წალკის უწყებანის“ რედაქცია იუწყებიან, რომ წალკის რაიონის გამგეებელს ელდარ ხვისტანს გარდაეცვალა დედა

შუშანა ალექსანდრეს ასული რატბიანი-ხვისტანი

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

რუსლან რუსია ოჯახით გულწრფელად თანაუგრძნობს ბაგონ ელდარ ხვისტანს დედის

შუშანა რატბიანი-ხვისტანის

გარდაცვალების გამო.

საქართველოში სეკ „იტერას“ წარმომადგენლობის კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს წარმომადგენლობის მეთაურის თამაშ პაგარიძის მამის

არჩილ ელიზეს ძე
პატარიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მანანა და რამაზ ხუროძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

არჩილ პატარიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გურამ, ლეილა, ნუგზარ, თამაზ, ლალი, სოსო, ნანა, მამუკა სულავები ოჯახებით მწუხარებას გამოთქვამენ და თანაუგრძნობენ ბიჭიკო და ნათელა გაბუნიების შვილის

ნუგზარ ბაბუნიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გოგუცა, მურმან გიორგაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან ბოჭორიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

სააქციო საზოგადოება ნავთობის ეროვნული კომპანია „საქნავთობის“ კოლექტივი მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს გიორგი და ლალი მახარაძეების მამიდამშვილის

აპაკი ბეთიაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საგრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტის პირადი შემადგენლობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს პოლიციის პოლკოვნიკის

ნუგზარ მგალობლიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მპს „საქართველოს ფოსტა“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს სამოგადოების აპარატის უფროსი საქმის მწარმოებლის სეგეტ ხასაიას ძმის

რობერტ ხასაიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მპს „მცხეთაწყალკანალის“ ადმინისტრაცია და მთელი კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინეობის წყალსადენების გაერთიანების უფროსი

რამაზ ქუთათელაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მცხეთა-მთიანეთის მხარის პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატი, მცხეთის რაიონის გამგეობა და ქ. მცხეთის გამგეობა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა არაგვის ხეობის წყალსადენების გაერთიანების უფროსი

რამაზ ქუთათელაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანატი და ელექტრული სადგურების, ქსელებისა და სისტემების კათედრა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კათედრის გამგე, პროფესორი

თენგიზ ქვანია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, პროფესორი

თენგიზ ქვანია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია სამძიმარს უცხადებს ამავე კორპორაციის თანამშრომელს ცაბუ კეკელიძეს ძმის

ანზორ კეკელიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, პროფესორი

შარანგ ბროშეკი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ გელაშვილი, გურამ გოგბიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
რუსლან რუსია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge

იბეჭდება ტამომცემლობა „ალორორის“ სტამბაში, რუსინიგზის ჩიხი 20.